# იმედი +

ყოველთვიური ჟურნალი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის
№ 8-9 (56-57) სექტემბერი 2015წ.



გილოცავთ ახალ სასწავლო წელს!



*თბილისის ყრუ და სმენადაქვეითებულთა N 203 საჯარო სკოლა*

*ნაქარგი „ყვავილები ქილაში“ - ავტორი თამუნა ბერიძე, მე-11 კლასი (2010 წელიი)*

აკადემიური ჟესტური ენის განვითარება ..................................... 2
ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა შშმ პირთათვის ადაპტირებული იქნება ........................................................................................ 3
დავით ნარმანია შშმ პირთა ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა ......................................................................................... 3
ზუგდიდის გამგეობა შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნაზე მუშაობს ........................................................................ 4
თბილისის მერიაში „შეზღუდული შესაძლებლობების პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის„ ფარგლებში დაფინანსებული პროექტების პრეზენტაცია გაიმართა ......................................... 4
შშმ პირთათვის საინფორმაციო, გასართობი და სხვა პროგრამები მიუწვდომელია ......................................................... 5
ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა ..................................... 6
შშმ პირთა შესახებ კანონის მიღების დღე ..................................... 6
დისკუსია შშმ პირთა უფლებების უზრუნველყოფის შესახებ ...... 7
წინადადება საქართველოს მთავრობას სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსული შშმ პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ ............................................................ 7
პოეზია. ლექსი (ნინოს და კოკას) ................................................. 8
შშმ ბავშვების პენსია 160 ლარი გახდება......................................... 9
ალერგია, სიმპტომები, გამომწვევი მიზეზები ................................ 9
ბრწყინვალე გონება ................................................................... 13
პროექტ „ახალი მზიურის„ ავტორების ღია წერილი საზოგადოებას.......................................................................... 15
როგორ დავეხმაროთ ბავშვს, განავითაროს სწავლისთვის საჭირო უნარი............................................................................ 16
როგორ განვიკურნოთ აზროვნების (შემეცნების) ძალით........... 21
მინდა ერთ ოჯახზე მოგითხროთ................................................ 22
ჩემი ნინიას წერილი სტუდენტებს .............................................. 23
პარაფესტივალი ბათუმიდან დაიწყო ....................................... 24
სამკურნალო პედაგოგიკის როლი ჯანმართვის სანოგენეზურ რგოლში .............................................................. 25
მეცნიერები მშობლებს შვილებზე ზედმეტ ზრუნვას არ ურჩევენ ............................................................... 27
რიტმიკა ....................................................................................... 28
ჩვენი განმარტებითი ლექსიკონი................................................ 29
პოეზია, რევაზ ტატალაშვილი ................................................... 31
შშმ ბავშვების მშობლების საყურადღებოდ ................................ 31

ISSN1987-7161
977198771600

**მთავარი რედაქტორი**

თეიმურაზ მიქიაშვილი
593 33 5887
info.imediplus@gmail.com

**რედაქტორის მოადგილე**

მაია ასაკაშვილი
asakashvili_maia@yahoo.com

**დიზაინერი**

სოფო ტარყაშვილი
592 534466

**გამომცემელი**

კავშირი „იმედი პლიუსი“

**საკონტაქტო ინფორმაცია**

ზ.ფალიაშვილის № 47ა
მე-2 სადარბ. ბ 12
+995 2 25 28 81
+995 2 25 28 83
pr_imediplus@yahoo.com
info.imediplus@gmail.com

ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „ფავორიტი სტილის“ სტამბაში.
თბილისი.0163. ჩუბინიშვილის ქ. N50

**დამფუძნებლები - თეიმურაზ მიქიაშვილი**
**კარლო მუშკუდიანი**

***გარეკანის პირველ გვერდზე ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონი ბოდიბილდინგში ვიქტორ კონოვალოვი***

**ჟურნალი გამოდის „მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისათვის“ მხარდაჭერით.**

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს სტატიის ავტორის მოსაზრებებს. ჟურნალში გამოქვეყნებული ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებს სტატიის ავტორი, ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი აუდიო-მასალა ინახება ერთი თვის განმავლობაში, აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზია არ მიიღება.

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიებისა და ფოტოების გადაბეჭდვა, რედაქციასთან შეთანხმების გარეშე, აკრძალულია. სარეკლამო მასალების შინაარსსა და სტილზე პასუხისმგებელია შემკვეთი.

ჟურნალი გამოდის 2008 წლის ოქტომბრიდან

ჟურნალს თან ახლავს 4-4 გვერდიანი ინგლისურ და რუსულენოვანი ჩანართები

## ახალი ამბები

# აკადემიური ჟესტური ენის განვითარება



პირველად საქართველოში ყრუ პირთა პროფესიული განათლება, ჟესტური ენის თარჯიმნის დახმარებით, ჟესტურ ენაზე მიმდინარეობს. დღეს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში აკადემიური ჟესტური ენის განვითარებისათვის განხორციელებული სამუშაოები სპეციალისტებმა შეაჯამეს, აქვე გაიმართა ვებგვერდის SignWiki-ის პრეზენტაცია. ვებგვერდი განკუთვნილია ყრუ პირთათვის, მათი მშობლებისთვის, ჟესტური ენის პედაგოგებისა და თარჯიმნებისთვის. შეხვედრა, რომელსაც პედაგოგები, ჟესტური ენის თარჯიმნები, ყრუ ადამიანები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ მინისტრმა თამარ სანიკიძემ გახსნა.

2013 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს მხარდაჭერით ახორციელებს პროექტს „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში„. აღნიშნული ინიციატივის მიზანია პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და სასწავლო პროცესის მათი ინდივიდუალური შესაძლებლობების, ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად წარმართვა.

სამინისტროსათვის პრიორიტეტულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა. თითოეული სტუდენტისათვის სასწავლო პროცესის ხელშეწყობა მისი საჭიროების შესაბამისად მიმდინარეობს. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში აქტიურად არიან ჩართულნი ყრუ პირები, რომელთათვისაც პროფესიული განათლება ჟესტური ენის თარჯიმნის ჩართულობით, ჟესტურ ენაზე მიმდინარეობს. ყრუ სტუდენტებისათვის იდნიდვიდუალური საჭიროებების გათვალიწინებით არის ორგანიზებული პროფესიული ტესტირების პროცესი შედეგად კი, 2013 წლიდან დღემდე **53**-მა ყრუ პირმა მიიღო პროფესიული განათლება.

2013 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ნორვეგიის განათლებისა და კვლევის სამინისტროს მხარდაჭერით, საფუძველი ჩაუყარა პროფესიული განათლების მიმართულებით აკადემიური ჟესტური ენის განვითარებას, ვინაიდან, ძალიან მწირია ჟესტები, რომელიც საშუალებას იძლევა პროფესიული განათლების მიწოდების პროცესში სრულყოფილად იქნეს მასალა თარგმნილი. 2013 წლიდან დღემდე განხორციელდა:

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლებასთან დაკავშირებული ქართული ჟესტების იდენტიფიცირება, რეგისტრირება და პოტენციურ მომხმარებელთა შორის გავრცელება 15 სხვადასხვა პროფესიასთან მიმართებაში
- აღსანიშნავია, რომ ქართული ჟესტების ბანკის შემუშავების პროცესში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ **75** ყრუ პირი დაასაქმა საქართველოს ყრუთა კავშირთან აქტიური თანამშრომლობით
- ჟესტების შეგროვების, რეგისტრირების, ბაზაში ასახვისა და გავრცელებისათვის ნორვეგიელი მხარის მხარდაჭერით შეიქმნა ქართული ჟესტების რეგისტრაციის ელექტრონული პროგრამა - SignWiki-ის ანალოგი და ქართულ მხარეს გადმოეცა აღნიშნულ ვებგვერდზე წვდომის უფლება.

6 თვის განმავლობაში ვებგვერდზე მოხდა ჟესტური ენით მოსარგებლე ყრუ პირების მიერ შეგროვებული და ვიდეო ფირზე აღბეჭდილი **2748** ჟესტის განთავსება განსაზღვრული თხუთმეტი პროფესიული პროგრამისთვის. სამუშაო ჯგუფების მიმდინარეობის პარალელურად, პოტენციურ მომხმარებელთა შორის SignWiki-ის გავრცელების მიზნით, მიმდინარეობდა საინფორმაციო შეხვედრები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებთან.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინიტრო გეგმავს შექმნილი ვებგვერდი დატვირთოს სხვადასხვა საგანმანთლებლო რესურსებით ყრუ პირებისათვის. დაიწყება ასევე სკოლის საგნებისათვის საჭირო ჟესტების შეგროვება და ატვირთვა, რათა სწავლების ადრეული ფაზიდანვე ყრუ მოსწავლეებისათვის ინფომრაცია იყოს სათანადოდ ხელმისაწვდომი.

**http://ge.signwiki.org/index.php/Category:Dictionary**

## ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა შშმ პირთათვის ადაპტირებული იქნება

„ბათუმელები“



ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის ადაპტირებული იქნება. ბიბლიოთეკის შესასვლელში ეტლით მოსარგებლეებისათვის პანდუსს, კომპანია „ჯეოსელის“ და ორგანიზაცია „სთეფ ფორვარდის“ მხარდაჭერით ამონტაჟებენ.

ამასთან ბიბლიოთეკაში არსებული ყველა რესურსი - წიგნები და კომპიუტერები პირველ სართულზე იქნება ხელმისაწვდომი შშმ პირთათვის.

სხვადასხვა საჯარო შენობებზე სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის პანდუსების დამონტაჟება, ბათუმში ჯეოსელის ინიციატივით და ორგანიზაცია „სთეფ ფორვარდის“ მხარდაჭერით, რამდენიმე თვის წინ დაიწყო.

ჯეოსელის დაფინანსებით უკვე გაკეთდა ბათუმის მეორე საჯარო სკოლის (სადაც ეტლით მოსარგებლე ბავშვები სწავლობენ) და ვეტერანთა კლუბის პანდუსებით აღჭურვა.

## დავით ნარმანია შშმ პირთა ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა




თბილისის მერი დავით ნარმანია შშმ პირთა ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრას ასევე ესწრებოდა თბილისის მერის შშმ პირთა საბჭოს აღმასრულებელი მდივანი რატი იონათამიშვილი.

შეხვედრის მიზანი იყო დედაქალაქში ფიზიკური გარემოს ადაპტირებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. საუბარი ეხებოდა საქართველოს მთავრობის N41-ე დადგენილების (შშმ პირთათვის სივრცის მოწყობის ტექნიკური რეგლამენტი) აღსრულებისას შექმნილ პრობლემებზე, ამ მიმართულებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში შშმ პირთა ორგანიზაციების ჩართულობასა და შიდა და სამოქალაქო მონიტორინგის გაძლიერებაზე.

შეხვედრაზე საუბარი იყო დედაქალაქში რამდენიმე ლოკაციაზე სტანდარტების დაცვის გარეშე მოწყობილ კონსტრუქციაზე. დავით ნარმანიას თქმით, მისივე დავალებით, აღნიშნულ საკითხზე შიდა აუდიტის სამსახურს დაწყებული აქვს მოკვლევა და მომზადდება შესაბამისი დასკვნა. შეხვედრაზე ასევე ითქვა, რომ შშმ პირთათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობისას ხშირად არ ხდება სტანდარტების დაცვა, ამ მიმართულებით არის კომპეტენციის ნაკლებობა, რის გამოც სპეციალისტებთან თანამშრომლობა აუცილებელია. დავით ნარმანიას თქმით, შშმ პირებთან დაკავშირებულ თემებზე მუშაობისას მნიშვნელოვანია პროცესებში ამ საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების ჩართულობა, რადგან ისინი ყველაზე უკეთ იცნობენ მათ საჭიროებებს. ამასთან, თბილისის მერის თქმით, 2015 წლის სექტემბერში გამგეობებისა და შესაბამისი საქალაქო სამსახურების წარმომადგენლებისათვის დაგეგმილია ტრენინგები კონსტრუქციების უნივერსალური დიზაინის სტანდარტებზე. გარდა ამისა, დავით ნარმანიას განცხადებით, მიმდინარეობს საჯარო სივრცისა და ინფრასტრუქტურული ობიექტების ადაპტირების 2016-2019 წლების სამოქმედო გეგმაზე მუშაობა, რომელიც ჰარმონიზაციაში იქნება დედაქალაქის ბიუჯეტთან. ამასთან, მერის განცხადებით, აღნიშნული საკითხების პოპულარიზაციის მიზნით, შეხვედრები მოეწყობა მედია ორგანიზაციების რედაქტორებთან.

„ბოლო პერიოდში აქტიუალური საკითხია ე.წ. რკინის ხიდები, რომლებიც არ არის ადაპტირებული. ვფიქრობთ, რომ იმ ადგილებზე, სადაც დიდი მოთხოვნაა, სამწლიან სამოქმედო გეგმაში ავსახოთ და ყველა სახიდე გადასასვლელი ამ სახით გავაკეთოთ„,-განაცხადა დავით ნარმანიამ.

გაგრძელება →

რატი იონათამიშვილის თქმით, შშმ პირთა ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ყველაზე კარგად იციან ის პროლემები და საჭიროებები, რომლებიც შშმ პირებს გააჩნიათ. ამიტომ, მათი მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია სწორი გადაწყვეტილების მიღება.

„დღეს შშმ პირთა აბსოლუტური უმრავლესობა ისევ სახლებში რჩება და ამიტომ, არ გვაქვს არც ერთი დღის დაკარგვის ფუფუნება, რომ მათთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა დაუყოვნებლივ არ მოვახდინოთ. დავით ნარმანიამ უკვე დაავალა შესაბამის სამსახურებს, უმოკლეს ვადაში წარადგინონ N41-ე დადგენილების აღსრულებისა და კონტროლის მექანიზმები. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ადაპტირება ნიშნავს ყველა კატეგორიის შშმ პირთათვის ხელისაწვდომ გარემოსა და ინფორმაციას„, - აღნიშნა რატი იონათამიშვილმა.

## ზუგდიდის გამგეობა შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნაზე მუშაობს

ACCENT



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ გიზო სართანიამ ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებთან საინფორმაციო სახის შეხვედრა გამართა.

როგორც „აქცენტს“ გამგეობიდან აცნობეს, შეხვედრაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე და მათ საჭიროებებზე ისაუბრეს.

სართანიამ ყურადღება გაამახვილა შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნის აუცილებლობაზე.

გამგებლის წარმომადგენლებს სპეციალური კითხვარი გადაეცათ, სადაც ჩამოთვლილია შემდეგი საკითხების მოკვლევა; რამდენი სკოლაა სოფელში, სწავლობს თუ არა შშმ პირი (რომელ კლასშია).

ადპტირებულია თუ არა სკოლა, კლასი, სველი წერტილი? რამდენი სკოლამდელი დაწესებულებაა სოფელში, არიან თუ არა შშმ ბავშვები.

ადაპტირებულია თუ არა ბაღი, სველი წერტილი?

ასევე კითხვარში მითითებულია სხვა დაწესებულებები, სადაც საჭიროა ადაპტაცია მათ შორის მშენებარე ობიექტებიც.

გიზო სართანიას განმარტებით, გამგეობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად აქტიურად ჩაერთვება ამ პრობლემის მოგვარებაში და იზრუნებს შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნაზე.

„გამგეობა შშმ პირთათვის მომვლელთა პროგრამას უკვე ახორციელებს და არა ერთ ბენეფიციარს გაეწია ამ პროგრამით დახმარება.

მომვლელის პროგრამით სარგებლობა მხოლოდ იმ ბენეფიციარებს შეუძლიათ, რომლებსაც დამოუკიდებლად გადაადგილება შეზღუდული აქვთ„, – განაცხადა გიზო სართანიამ.

## თბილისის მერიაში „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამის„ ფარგლებში დაფინანსებული პროექტების პრეზენტაცია გაიმართა

თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურმა „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის პროგრამის„ ფარგლებში დაფინანსებული პროექტების პრეზენტაცია გამართა.

პროგრამის მიზანია კულტურულ, შემეცნებით და სპორტულ ღონისძიებებში შშმ პირთა მონაწილეობისა და საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების გზით მათთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა.

პროგრამის ბიუჯეტი 400 ათასი ლარია და წლის ბოლომდე მისი ბენეფიტით 5000-ზე მეტი შშმ პირი ისარგებლებს.

ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურმა, პროგრამის ფარგლებში მარტიდან დღემდე, შშმ პირთა, მათ საკითხებზე მომუშავე და წარმომადგენელი ორგანიზაციების 16 პროექტი დააფინანსა, რისთვისაც 250 ათას ლარზე მეტი გამოიყო.

როგორც მერთან არსებული შშმ პირთა სა-




კითხებზე მომუშავე საბჭოს აღმასრულებელმა მდივანმა რატი იონათამიშვილმა განაცხადა, დაფინანსებულ პროექტებს შორისაა - უსინათლოთა პერსონალური ასისტენტის (გამცილებლის) მომსახურებით უზრუნველყოფის პროექტი, რითიც თვეში 80 უსინათლო სარგებლობს, უსინათლოთა ჟურნალ „სინათლის„ ბრაილის შრიფტით ბეჭდვის პროექტი, ახალგაზრდა სურდო-თარჯიმნების მომზადების პროექტი, სპინალური დაზიანების მქონე პირთათვის „დამოუკიდებელი ცხოვრებისა და რეაბილიტაციის ბანაკის„ პროექტი, ანა გოგუაძის გამოფენის „აპრილი პარიზში„ დაფინანსების პროექტი, სპექტაკლები შშმ პირთა მონაწილეობით, პარაკალათბურთისა და პარაორკესტრის პროექტები. ასევე, თბილისის მერია 2015 წლის ივნისიდან შშმ პირთა დღის ცენტრების 18 წელს ზევით ბენეფიციართა დაფინანსების პროცესის თანამონაწილე გახდა.

დედაქალაქის მთავრობისთვის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება პრიორიტეტულია და ამ პროცესში შშმ პირთა მონაწილეობას მნიშვნელოვნად მიიჩნევს. „აუცილებელია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ამ პროცესში გადამწყვეტია შშმ პირთა აქტიურობა და ჩართულობა, რასაც მერია მაქსიმალურად შეუწყობს ხელს„, - განაცხადა ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა.

https://www.facebook.com/CityHallofTbilisi/photos/ms.c.eJw9zF

## ომბუდსმენი: შშმ პირებისთვის საინფორმაციო, გასართობი და სხვა პროგრამები მიუწვდომელია



საქართველოს სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინფორმაციის მისაწვდომობის თაობაზე. „ლიბერალი“ ომბუდსმენის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები კვლავ აწყდებიან დაბრკოლებებს ინფორმაციაზე თანაბარი წვდომის უფლების რეალიზების პროცესში. მათთვის არ არის მისაწვდომი საინფორმაციო, გასართობი და სხვადასხვა სახის სატელევიზიო პროგრამები, ფილმები. სამაუწყებლო კომპანიების მხრიდან ინფორმაციის მიწოდება არ ხდება ადაპტირებული ფორმით. კომუნიკაციის სპეციფიკური საჭიროებების არარსებობა აბრკოლებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრულფასოვან მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ამ ეტაპზე გატარებული ღონისძიებები სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში სურდოთარგმანის, სუბტიტრების, ბრაილის შრიფტის, ტიფლოკომენტარის, გამაძლიერებელი და სხვა სპეციალური საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას მიმართა წინადადებით:

- უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ელექტრონული სერვისების საჭიროებებისა და მათი განვითარების შესაძლებლობების შესწავლა;
- შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობით დროულად და ხარისხიანად უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, სატელევიზიო პროგრამების და ფილმების მისაწვდომობა სურდოთარგმანის, აუდიო დესკრიფციული მეთოდების (ტიფ-

გაგრძელება

ლოკომენტარი), აფიშირებული ტექსტის, ბრაილის შრიფტის, ტაქტილური კომუნიკაციის, მსხვილი შრიფტის, მულტიმედიის, გამაძლიერებელი თუ ალტერნატიული კომუნიკაციისა და სხვა მისაწვდომი ფორმების, მეთოდების, საშუალებებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინფორმაციის მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა, რომელშიც კონკრეტულად იქნება გაწერილი გასატარებელი ღონისძიებები/აქტივობები, მათი შესრულების ვადები, ინფორმაცია შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებების შესახებ, დაფინანსების წყარო და შედეგის გაზომვადი ინდიკატორები“, - ვკითხულობთ განცხადებაში.

## ხელნაკეთი ნივთების გამოფენა -გაყიდვა

*ქეთი ჭიღლაძე*



2015 წლის 14 ივლისს ოზურგეთის რაიონის და-ბა ურეკში, იმედის პარკში ტრადიციულად მოაწყო საქველმოქმედო ასოციაცია „მოწყალების„ ბენეფი-ციარების ხელნაკეთი ნივთების გამოფენა -გაყიდვა. გამოფენაზე გვესტუმრნენ ოზურგეთის მუნიციპა-ლიტეტის გამგებელი ბატონები მერაბ ჭანუყვაძე და შს ოზურგეთის რაიონული სამმართველოს პო-ლიციის უფროსი ლევან ცაავა.ასევე ესტუმრენ ოზ-ურგეთის საქველმოქმედო ასოციაცია,,გურია“-ს წევრები. ინტერესით ეცნობოდნენ ნამუშევრებს უცხოელი დამსვენებლებიც და დიდი მოწონება გა-მოხატეს.მოწვეულმა სტუმრებმა ადგილზე შეიძინ-ეს რამოდენიმე ხელნაკეთი ნივთი და ნაქარგი.

ამ ორგანიზაციის ყველა წევრი აქტიურ შემოქ-მედებით ცხოვრებას ეწევა, ჩვენ ყოველდღიურად ვანგრევთ საზოგადოებაში დამკვიდრებულ სტერეოტიპებს და ჩვენი აქტიური ცხოვრებით ვამტკიცებთ, რომ ჩვენი შესაძლებლობები შეუზღუდავია და ძალიან ლამაზია ეს ცხოვრება.

## შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამერიკელთა შესახებ კანონის მიღების დღე



25 წლის წინ, 3,000 ადამიანის თანდასწრებით, პრეზიდენტმა ბუშმა ხელი მოაწერა კანონს შეზღუ-დული შესაძლებლობის მქონე ამერიკელთა შესა-ხებ (ADA). კანონმა შეზღუდული შესაძლებლობის ნიადაგზე დისკრიმინაცია აკრძალა და მეტაფო-რული და ფიზიკური ბარიერები დაანგრია. შედე-გად, ტროტუარებზე გაკეთდა პანდუსები, საჯარო შენობები ეტლით მოსარგებლე პირთათვის ადაპ-ტირებული გახდა და შეიცვალა დასაქმების პრო-ცედურები, რათა შშმ პირთა უფლებები დაცული ყოფილიყო. უფრო ზოგადად კი, კანონმა აშშ-ის შშმ მოქალაქეებს საზოგადოებაში სრულყოფილი ჩარ-თვის საშუალება მისცა.

იმედი+
იკითხეთ ჟურნალი „იმედი +“

## დისკუსია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების უზრუნველყოფისათვის

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების უზრუნველყოფის მიმართულებით არსებობს ორი, სამედიცინო და სოციალური მიდგომა. სამედიცინო მოდელი შეზღუდულ შესაძლებლობას განიხილავს, როგორც დაავადებას - ფოკუსირებულია ადამიანის შეზღუდულ შესაძლებლობაზე, უნივერსალური დიზაინისა და ადაპტირების პარალელურად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, სპეციალური სერვისების შექმნაზე.

სოციალური მოდელი კი ყურადღებას ამახვილებს საზოგადოებაში არსებულ ბარიერებზე, სისტემურ ხარვეზებზე, სტიგმაზე, რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს არ აძლევთ საკუთარი პოტენციალის რეალიზების საშუალებას. ამ ხედვის მიხედვით პრობლემა არა ადამიანში, არამედ შეზღუდული შესაძლებლობების გარემოშია.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია სოციალური მიდგომის დაფუძნებას ცდილობს და მის პრინციპებს ემყარება. საქართველო კონვენციას 2014 წელს შეუერთდა და დაადასტურა საქართველოს სახელმწიფოს მიზნების თანხვედრა იმ მიზნებთან, რომელსაც ეს დოკუმენტი ეყრდნობა.

რამდენად პასუხობს სახელმწიფო პოლიტიკა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების უზრუნველყოფის გაეროს კონვეციით განსაზღვრულ მიზნებს - აღნიშნულ თემაზე 28 ივლისს ფრონტლაინკლუბში გაიმართა დისკუსია. დისკუსიათა სერია გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით იმართება.

მოხსენებებით გამოვიდნენ: მაგული შალაშვილი - თანაბარი შესაძლებლობების პოლიტიკის და ადვოკატირების ინსტიტუტის დირექტორი, მარიამ მიქიაშვილი - ორგანიზაცია „ბავშვი ოჯახი საზოგადოება“, ნატალია ჯალიაშვილი - მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს უფროსი. მოდერატორი გახლდათ ანა არგანაშვილი - ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისათვის„. დისკუსია ჩატარდა ფრონტლაინ ჯორჯია კლუბის და ჟურნალ „ლიბერალის„ ერთობლივი პროექტის - „დისკუსიები ბავშვთა უფლებების თემაზე“ ფარგლებში, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით.

## წინადადება საქართველოს მთავრობას სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ

სახალხო დამცველმა წინადადებით მიმართა საქართველოს მთავრობას სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი ღონისძიებების უზრუნველყოფის შესახებ.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც ბავშვობის ასაკიდან იმყოფებიან სახელმწიფოს ზრუნვის ქვეშ, სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდეგ იძულებულნი ხდებიან დატოვონ შესაბამისი დაწესებულებები დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების გარეშე. სახელმწიფო მათ არ სთავაზობს ადეკვატურ მხარდაჭერას, რის გამოც, სხვა სოციალურ–ეკონომიკურ პრობლემებთან ერთად ისინი საცხოვრებლისა და შესაბამისი სერვისების გარეშე რჩებიან. აღნიშნულის გამო ვერ ხერხდება მათ მიერ ადამიანის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით სრულყოფილი სარგებლობა.

ხელისუფლებას არ აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოლიტიკა/სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფდა ზრუნვიდან გამოსული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობებს, გარემოში არსებული ბარიერების დაძლევას და მათთვის ცხოვრების ადეკვატურ სტანდარტს. საკითხს რიგ შემთხვევაში არეგულირებს ეროვნული საკანონმდებლო აქტები, თუმცა მათი უმრავლესობა პრაქტიკაში არ მუშაობს.

სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ ზრუნვიდან გამოსული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება არ მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებით დიდი ფინანსური რესურსის ხარჯვას და არ წარმოადგენს დაუძლეველ ტვირთს, ნების არსებობის შემთხვევაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველმა მთავრობას მიმართა შემდეგი რეკომენდაციებით:

- პასუხისმგებელი სამინისტროების ჩართულობით მოახდინოს სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი ღონისძიებების საკანონმდებლო რეგულირება, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ„ გაეროს კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად
- პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყებებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაწილეობით, შეიქმნას სტრატეგია და სამოქმედო გეგმა სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ,

რომელიც უზრუნველყოფს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ„ გაეროს კონვენციით ამ პირთათვის გარანტირებული უფლებების პრაქტიკულ იმპლემენტაციას

- სამოქმედო გეგმაში გაიწეროს სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი კონკრეტული პროგრამები, ნათლად და მკაფიოდ განსაზღვრული ამოცანებით, მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი უწყებებით, შესრულების ინდიკატორებით, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებით და კონკრეტული დაფინანსების წყაროებით
- სამოქმედო გეგმაში გაწერილმა პროგრამებმა მოიცვას სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების, საცხოვრებლით უზრუნველყოფის, ფინანსური მხარდაჭერის, პროფესიული მომზადებისა და დასაქმების, ცხოვრებისეული უნარების განვითარების კომპონენტები
- სტრატეგიით და სამოქმედო გეგმით გაწერილ პროგრამებში განისაზღვროს სახელმწიფოს ზრუნვიდან გამოსულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მხარდამჭერი სერვისების შეთავაზება ინდივიდუალური საჭიროებების შეფასების საფუძველზე
- საქართველოს მთავრობამ სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშემწყობი სხვადასხვა ღონისძიებების განსახორციელებლად სამინისტროებისთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების ეფექტიანი ხარჯვის უზრუნველსაყოფად მოახდინოს სახელმწიფო უწყებებს შორის ეფექტური თანამშრომლობისა და კოორდინაციის მექანიზმის/ფორმატის ჩამოყალიბება
- საქართველოს მთავრობამ დაუყოვნებლივ მოახდინოს სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსულ იმ პირთა თავშესაფრით და ადეკვატური სოციალურ დაცვის გარანტიებით უზრუნველყოფა, რომლებსაც მოცემული მომენტისთვის ამის კრიტიკული საჭიროება გააჩნიათ

## ᲞᲝᲔᲖᲘᲐ

# ᲜᲘᲜᲝᲡ ᲓᲐ ᲙᲝᲙᲐᲡ
# (ᲜᲘᲭᲘᲔᲠ ᲤᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ)

ᲜᲘᲜᲝ ᲠᲐᲖᲛᲐᲫᲔ
ᲡᲐᲥ. ᲧᲠᲣᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲘ

ვინც ეცადა ''სიმღერები'
'' ნიჭიერთა არენაზე
პირველები თქვენ ხართ!
ვინც ეცადა ''სიმღერები'
ჟესტურ ენით გვენახა.

თქვენ პირველმა გაანგრიეთ
ის გამყოფი კედელი
ყველასათვის, რომ იყავით
მუდამ შეუმჩნეველი

მთელ სამყაროს აგრძნობინეთ
ყრუ ხალხების გენია,
რომ თქვენს შორის ნიჭიერი
მართლაც ძალზე ბევრია.

მომღერალი, მოცეკვავე
სპორტსმენი თუ მხატვარი...
მეგობრობა, სიყვარული
ესეც არის მთავარი.

ახლა ყველა მართლა მიხვდა,
რომ ვართ ერთი დონისა.
და რომ ყველა იზომება
ჭკუითა და გონითა.....

საქართველო გააკვირვეთ
ჟესტურ ენით ნამღერით
და მიტომაც, მყის გავარდა
ქვეყნად თქვენი სახელი!

MEDFM 100.3
პირველი სამედიცინო რადიო
ტელ.: 2 42 10 03

უსმინეთ ყოველ ხუთშაბათს 17:00 სთ.-დან 18:00 სთ.-მდე
მაია ასაკაშვილის საავტორო გადაცემას
„ადამიანები განსხვავებული შესაძლებლობებით”

## შშმ ბავშვების პენსია 160 ლარი გახდება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს სექტემბრიდან პენსია 160 ლარი გაუხდებათ. 160 ლარამდე ეზრდებათ პენსია მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის პირებსაც - ამის შესახებ დღეს ჯანდაცვის სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელმა, ზაზა სოფრომაძემ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

„პენსია ეზრდება 9100-ზე მეტ შშმ ბავშვსა და 24 457 მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს. მთავრობას ეს ცვლილება 3 მილიონ 100 ათასი ლარი დაუჯდება, რომელიც წლის ბოლომდე იქნება მობილიზებული. ამით, ფაქტობრივად, შესრულდა ის დანაპირები, რაც რამდენიმე თვის წინ ბავშვების მშობლებთან შეხვედრის დროს გაჟღერდა“, - აღნიშნა სოფრომაძემ.

შეგახსენებთ, დღემდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების პენსია 100 ლარი იყო.

**ჯანმრთელობა**

**ალერგია, სიმპტომები, გამომწვევი მიზეზები**

***მაია ასაკაშვილი***

*გაგრძელება, დასაწყისი N7*

## მწერების ნაკბენით გამოწვეული ალერგია



მწერები, რომელთა ნაკბენებსაც შეუძლია ალერგიული რეაქციების გამოწვევა, უმეტესად ეკუთვნიან სიფრიფანაფრთიანთა რიგს (Hymenoptera). ესენია უმეტესად ფუტკრები და კრაზანები. ფუტკრები მხოლოდ მაშინ იკბინებიან, თუ მათ ბუდეს რაიმე დაემუქრა. ამდენად, ისინი „ბუნებით აგრესიულნი“ არ არიან. ფუტკრის ნესტარი დაკბილულია და კანში ჩასობის შემდეგ მისი ამოღება შეუძლებელია. როცა კბენის შემდეგ ფუტკარი ცდილობს ნესტარის ამოღებას, მისი ნესტარი, შხამის ჯირკვალი და საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ნაწილი წყდება სხეულს და ფუტკარი კვდება. მათგან განსხვავებით, კრაზანები ბუნებით აგრესიულნი არიან, განსაკუთრებით შემოდგომაზე, როცა საკვები შემოაკლდებათ. თანაც, ერთ კრაზანას მრავალჯერ შეუძლია დანესტვრა, რადგან კრაზანის ნესტარი გლუვია და კბენის შემდეგ მისი ამოღება ადვილია.

როგორ დავიცვათ თავი მწერის ნაკბენით გამოწვეული ალერგიისაგან?

ფუტკრის ან კრაზანის შხამისადმი ალერგიულმა ადამიანებმა სიფრთხილის შემდეგ ზომებს უნდა მიმართონ:

- არ დაანებოთ ბავშვებს ხის ძირას ან კუნძებთან თამაში, რაგდან იქ ხშირად იცის კრაზანის ბუდეები
- არ იაროთ ფეხშიშველამ ბალახზე, რადგან ფუტკრები შეიძლება ბალახში, წვრილ ყვავილებზე ისხდნენ, გარდა ამისა, ზოგჯერ მათი ბუდეები მიწაზეა მოწყობილი
- არ ჭამოთ ხილი და არ დალიოთ ტკბილი წყლები შენობის გარეთ
- არ მიიღოთ მზის აბაზანები, თუ თქვენ სველი ან ნესტიანი ხართ, ან რაიმე კოსმეტიკური ზეთი გისვიათ, რადგან ამას მწერების მოზიდვა შეუძლია
- არ ჩაიცვათ კაშკაშა ფერის, ყვავილებით მოჩითლი ტანსაცმელი
- წყნარად იდექით, ნუ დაიწყებთ მკვეთრ მოძრაობებს, თუ ახლომახლო ფუტკარი ან კრაზანა გამოჩნდა
- სანამ მანქანაში ჩაჯდებით, შეამოწმეთ, ხომ არ არის სალონში ფუტკარი ან კრაზანა.

**ანაფილაქსიური შოკი**

გაგრძელება →

ანაფილაქსიური შოკი ალერგიული რეაქციის ყველაზე სახიფათო და არასასურველი ვარიანტია. ეს არის კრიტიკული მდგომარეობა, რომელიც წარმოადგენს მწვავე სისტემურ ალერგიულ რეაქციას (მოიცავს მთელს ორგანიზმს) და ვითარდება იმ ალერგენთან კონტაქტის შემდეგ, რომლის მიმართაც ადამიანი წინასწარ იყო სენსიბილიზებული. ნებისმიერი მიზეზით გამოწვეული ანაფილაქსიის დროს სიკვდილობა გვხვდება 0,4 შემთხვევაში 1მლნ მოსახლეზე წელიწადში.



ანაფილაქსიის დროს ცვლილებები ვითარდება სხვადასხვა ორგანოებში - კანში, ზედა და ქვედა სასუნთქ გზებში, გულ-სისხლძარღვათა სისტემის ორგანოებში, თვალში, საშვილოსნოსა და შარდის ბუშტში. შესაბამისად, ანაფილაქსიის სიმპტომებია: შფოთვა, კანის ქავილი, თავის ტკივილი, გულისრევა, პირღებინება, ცემინება, ხველება, გამონაყარი კანზე, ტუჩებისა და სახსრების მიდამოს შეშუპება, თვალების შესივება და ქავილი, ხმის შეცვლა-ჩახლეჩა, ცხვირის ლორწოვანის შეშუპება, ტკივილი გულმკერდში, მოხრჩობის გრძნობა, სიმხურვალისა და ალების შეგრძნება, ნაწლავური კოლიკა, საშვილოსნოს სპაზმი და მოშარდვის სურვილი, შესუსტებული სუნთქვა, დაბალი არტერიული წნევა, კრუნჩხვები და გონების დაკარგვა.

ანაფილაქსიის გამოწვევა შეუძლია ბევრ ნივთიერებას. ანაფილაქსიური შოკის ხშირ მიზეზს წარმოადგენს ინსექტური ალერგია, ანუ ალერგია მწერის ნაკბენზე (კოღო, ფუტკარი, კრაზანა) და მედიკამენტოზური ალერგია (ანტიბიოტიკები, არასტეროიდული ანალგეზიური საშუალებები, სულფამიდური საშუალებები, ჰორმონები, შრატის პრეპარატები, ადგილობრივი გამაუტკივარებელი საშუალებები, სულფიტები). შეიძლება იგი განვითარდეს ფიზიკურ დატვირთვაზეც, რაც დამოკიდებულია დატვირთვის ინტენსივობაზე და გარემოს ტემპერატურაზე. ამ დროს აღინიშნება ინტენსიური ქავილი გამონაყრით ან მის გარეშე, წნევის დაქვეითება და ზემო სასუნთქი გზების შევიწროება.

როგორ მოვიქცეთ ანაფილაქსიის შემთხვევაში?

- ანაფილაქსია მოითხოვს გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას. რაც უფრო ადრე დაიწყებთ მკურნალობას, მით უფრო ნაკლებად მძიმე იქნება გამოსავალი;
- სასწრაფოდ კეთდება ადრენალინი, ანტიჰისტამინური პრეპარატები და სტეროიდული ჰორმონები;

გახსოვდეთ!

- ანაფილაქსიის საუკეთესო მკურნალობა - ეს არის მისი პროფილაქტიკა;
- გარკვეულ პროდუქტებზე ალერგიულმა პირებმა თავი უნდა დაიცვან სპეციფიკურ პროდუქტებთან შეხებაზე;
- თუ არის ამის საშუალება, ექიმთან შეთანხმებით, უმჯობესია მიიღოთ მედიკამენტები აბების ფორმით ინექციების ნაცვლად;
- ზუსტად დაიცავით ექიმის მითითებები მედიკამენტების მიღების თაობაზე;
- ინექციის შემდეგ ან ალერგენით მკურნალობის დროს, სულ მცირე 20 წუთი არ დატოვოთ ექიმის კაბინეტი;
- ყოველთვის ჩააყენეთ ექიმი საქმის კურსში თქვენი დაავადების ისტორიის შესახებ;
- ალერგიულმა ადამიანებმა თან უნდა ატარონ სპეციალური სამედიცინო სამაჯური მასზე ალერგიულობის მითითებით, ასევე შოკის საწინააღმდეგო მედიკამენტების ნაკრები.

**რა არის ფსევდოალერგია?**

ფსევდოალერგიულ რეაქციებს, განსხვავებით „ჭეშმარიტი" კვებითი ალერგიისაგან, საფუძვლად უდევს არაიმუნოლოგიური მექანიზმები. ეს ფსევდოალერგიული რეაქციები გამოწვეულია ჰისტამინის შემცველი საკვებით, ან ორგანიზმის ქიმიური რეაქციების შედეგად ჰისტამინის გამოთავისუფლებით (მაგ. კუჭ-ნაწლავის ტრაქტში მყოფი ბაქტერიების მიერ).

მათი სიმპტომები შეიძლება ისეთივე იყოს, როგორც „ჭეშმარიტი" კვებითი ალერგიის დროს. მაგ., ზოგიერთი თევზის კონსერვი შეიძლება დიდი რაოდენობით ჰისტამინს შეიცავდეს და გამოიწვიოს მოწამვლა ზუსტად ისეთივე სიმპტომებით, როგორც ალერგიულ რეაქციას ახასიათებს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თქვენ ამ თევზის მიმართ „ალერგიული" ხართ.

ფსევდოალერგიული რეაქციის გამოწვევა შეუძლია ზოგიერთ სხვა პროდუქტსაც: მაგ. საკვების ქიმიურ დანამატებს (საღებავი, კონსერვანტები, არომატის გამაძლიერებელი ნივთიერებები), რომლებიც კვების მრეწველობაში გამოიყენება.

ალერგიისა და ასთმის დიაგნოსტიკა

თუ თქვენ გაქვთ ალერგიული დაავადებების ნიშნები, თქვენ უნდა მიიღოთ ექიმ-ალერგოლოგის კონსულტაცია და ჩაიტაროთ ალერგოლოგიული გამოკვლევა ჭეშმარიტი დიაგნოზის დასადგენად. თითოეულ ალერგიულ დაავადებას აქვს საკუთარი გამოკვლევის გეგმა. სწორი დიაგნოზის დასმა შესაძლებელია მხოლოდ კომპლექსური გამოკვლევის შემდეგ და არა მხოლოდ ერთი ანალიზით.

- *დაავადების ისტორია* - გამოკითხვისას ექიმი ყურადღებას ამახვილებს დაავადების დასაწყისზე, მისი განვითარების თავისებურებებზე, ცხოვრებისა და შრომის პირობებზე,

მემკვიდრეობითობაზე;

- *ფიზიკალური გასინჯვა* -აუსკულტაცია ბრონქული ასთმის შემთხვევაში მნიშვნელოვანი დიაგნოსტიკური მეთოდია;
- *გარეგანი სუნთქვის გამოკვლევა* - აუცილებელია ბრონქული ასთმის დიაგნოსტიკისათვის, რომლის დროსაც რეგისტრირდება ძირითადად სუნთქვის დარღვევის ობსტრუქციული ტიპი. დაავადების რემისიის დროს დიაგნოზის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ ბრონქოპროვოკაციული ტესტების გამოყენებით (აცეტილქოლინით, კარბაქოლინით, ჰისტამინით, პროპრანოლოლით, სხვადასხვა ალერგენებით), რომლებიც გამოავლენს ბრონქების ჰიპერრეაქტიულობას.
- *სისხლის საერთო ანალიზი, ნახველისა და ცხვირის სეკრეტის ციტოლოგიური კვლევა* - ხშირად გამოავლენს ეოზინოფილების რაოდენობის მომატებას;
- *კანის სინჯები ალერგენებით* - წარმოებს ჩხვლეტით ან გაჩხაპნით (სკარიფიკაციით) ძი-



რითადად წინამხრის მიდამოში, რომელზეც ხდება ალერგენის ექსტრაქტის წასმა. გარკვეული დროის შემდეგ კანის გაწითლება და შეშუპება მიუთითებს ალერგიის არსებობაზე ზ.ა. ალერგენზე. ერთი გამოკვლევის ფარგლებში შესაძლებელია 15-20 სინჯის შეფასება.

- *სპეციფიკური ანტისხეულების -IgE და საერთო IgE-ს შეფასება* - სენსიბილიზაცია და ალერგია ხასიათდება განსაზღვრული იმუნოლოგიური დარღვევებით. საყოფაცხოვრებო, კვებით, ეპიდერმალურ და სხვა ალერგიებს პირველ რიგში თან ახლავს სისხლში E კლასის ანტისხეულების (იმუნოგლობულინების) გამოჩენა. ჩვეულებრივ, ჯანმრთელ ადამიანებში მათი კონცენტრაცია ძალზედ უმნიშვნელოა, ხოლო ალერგიით დაავადებულებში კი მკვეთრად იმატებს, რასაც სადიაგნოსტიკო მნიშვნელობა აქვს.

კანის ტესტირება და IgE-ზე სისხლის გამოკვლევა მიუთითებს იმ ალერგენებზე, რომლებმაც პოტენციურად შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული რეაქცია, თუმცა დადებითი სინჯი ამა თუ იმ ალერგენზე ჯერ არ ნიშნავს დაავადების არსებობას, ასევე უარყოფითი შედეგი არ გამორიცხავს შესაძლო დიაგნოზს... ამრიგად, საჭიროა ჩატარებული კვლევების შედეგებისა და კლინიკური სურათის შეჯერება, რაც შედის სპეციალისტ-ალერგოლოგის კომპეტენციაში.

ალერგიული დაავადების სადიაგნოსტიკო სქემა შეიძლება ასევე მოიცავდეს ნახველის ბაქტერიოლოგიურ ანალიზსა და ანტიბიოტიკებზე მგრძნობელობის გამოკვლევას, გულმკერდისა და ცხვირის დანამატი ღრუების რენტგენოგრაფიას, ოტოლარინგოლოგის კონსულტაციას, სისხლის ანალიზს კორტიზოლის შემცველობაზე, სისხლის შრატში IgA, IgM, IgG განსაზღვრას, იმუნური და ინტერფერონული სტატუსის განსაზღვრას, ალერგენებით პროვოკაციულ (კონიუქტივალურ, ნაზალურ, ინჰალაციურ) ტესტებს, სპეციფიკური IgG-ის განსაზღვრას, ლეიკოციტების ბუნებრივი ემიგრაციის ტესტს და სხვ.

**ალერგიის მკურნალობის ძირითადი პრინციპები**

ალერგიის წარმატებით მკურნალობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გამომწვევი ალერგენების ზუსტ იდენტიფიკაციას. არსებობს ალერგიულ დაავადებათა მკურნალობის სამი ძირითადი მიმართულება:

- მიზეზობრივი ფაქტორების, რაც შეიძლება სრული ელიმინაცია (მოცილება) ავადმყოფის უშუალო გარემოდან;
- ალერგიით დაზიანებულ ქსოვილებში გალიზიანების შემცირება, რაც მიიღწევა სხვადასხვა წამლებით ალერგიის სიმპტომების მკურნალობის გზით;
- ორგანიზმის იმუნოლოგიური რეაქტიულობის შემცირება ვაქცინაციით (სპეციფიური ჰიპოსენსიბილიზაცია).

ჰიპოსენსიბილიზაცია

ჰიპოსენსიბილიზაცია ანუ ზემგრძნობელობის დაქვეითება ალერგენისადმი ემყარება ალერგენის მზარდი დოზების რეგულარულ შეყვანას. შესაყვანი ნარევის შემადგენლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენი ალერგენის მიმართ ხართ მგრძნობიარე, თუმცა ზღვარიც არსებობს: 2-3 ალერგენი ერთ ნარევში. სპეციფიური ჰიპოსენსიბილიზაცია არ არის 100%-ით ეფექტური. საუკეთესო შედეგებს იძლევა მკურნალობა ტკიპისა და ყვავილის მტვრის (ეფექტურია საშუალოდ 80%-ში), აგრეთვე ფუტკრისა და კრაზანის შხამის ალერგენებით (წარმატებულია შემთხვევათა 90%-ზე მეტში). ცხოველის ბეწვის ალერგენებით სპეციფიური მკურნალობა შედარებით ნაკლებეფექტურია და მოთმინებას მოითხოვს, სოკოს ალერგენების შემთხვევაში კი – საერთოდ უშედეგოა.

ჰიპოსენსიბილიზაცია ხანგრძლივი მკურნალობაა – ის საშუალოდ 3 წელს გრძელდება (ფუტკრისა და კრაზანას შხამის ალერგენების შემთხვევაში კი შეიძლება 5 წელს და კიდევ მეტხანს გასტანოს). წარმატება დამოკიდებულია ალერგენის სწორ შერჩევაზე, მის დოზირებაზე და პაციენტზე.

გაგრძელება →



ბავშვებში ჰიპოსენსიბილიზაციის ჩატარება შეიძლება 2 წლიდან.

ალერგიის მედიკამენტოზური მკურნალობა აუცილებლად უნდა დაინიშნოს ექიმი ალერგოლოგის მიერ.

- ასთმის მკურნალობაში ძალიან ფართოდ გამოიყენება ე.წ. ბრონქოდილატატორული საშუალებები, რომლებიც სუნთქვას აადვილებს. უმეტეს შემთხვევაში, ასთმის გასაკონტროლებლად საკმარისია ამ პრეპარატების რეგულარული ხმარება. ამ ტიპის წამლები ხელმისაწვდომია ტაბლეტების, დოზირებული ინჰალატორების, ინექციებისა და სანთლების სახით და შეიცავს ადრენალინის მსგავს პრეპარატებს და თეოფილინს.
- ადრენალინის მსგავსი წამლების ინჰალაცია გამოიყენება შეტევების მოსახსნელად. ისინი ეფექტს ძალიან სწრაფად იძლევიან. როცა სასუნთქი გზები თითქმის მთლიანად დახშულია, საჭიროა გამოვიყენოთ მათი საინექციო ფორმა. ამ პრეპარატებმა შეიძლება გამოიწვიონ გვერდითი მოვლენები პულსის აჩქარებისა და კანკალის სახით, ამიტომ გაითვალისწინეთ ექიმის რჩევა და არ იხმაროთ ინჰალატორები ზედმეტად ხშირად.

**გახსოვდეთ!**

**არასოდეს მიიღოთ წამალი თქვენს ექიმთან შეუთანხმებლად!**

სეზონური ალერგია

ალერგიებზე საუბრისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ე.წ. სეზონურ ალერგიებს. წელიწადის ოთხივე დრო გმაოირჩევა თავისი „ალერგიული პალიტრით„ მაგრამ, ამათგან ყველაზე მძლავრია გაზაფხული და შემოდგომა. გაზაფხულზე სამივე თვის განმავლობაში ყვავის უამრავი მცენარე, რომელთა მტვერი იფანტება ჰაერში, შემდეგ სუნთქვისას ხვდება ჩვენს ორგანიზმში და არც თუ ისე სუსტი ალერგიული რეაქციის გამოწვევა შეუძლია. მაგალითად, ბევრ ადამიანს აქვს ალერგია ჭადრის ყვავილობისას წარმოქმნილ მტვერზე, რომელიც გაზაფხულზე ჩვენს დედაქალაქში საკმაოდ მრავლადაა. ასეთი ტიპის ალერგიები ალერგიული რინიტის(სურდო),ბრონქიალური ასტმის, ალერგიული კონიუქტივიტის და სხვა მსგავსი ტიპის დაავადების გასამწვავებლად ჩინებული კატალიზატორია.

ალერგიის ყველაზე გავრცელებული სიმპტომებია: ქავილი, გამონაყარაი, ცრემლდენა, ცემინება, შეშუპება, კანის სიწითლე, „კვინკეს შეშუპება„ (ანაფილაქსიური შოკი). ცხადია ალერგიული რეაქციები განსხვავდებიან სიმძიმის მიხედვითაც, ზოგეიერთი მათგანი მხოლოდ მსუბუქი სიწითლით და ქავილით ხასიათდება, ხოლო რიგ შემთხვევაში ლეტალურ შედეგამდეც მივდივართ, მაგალითისთვის ანაფილაქსიური შოკისას თუ დროულად არ მოხდა სამედიცინო ჩარევა დაზარელებული სიცოცხლეს ტრაგიკულად ასრულებს. რაც შეეხება მკურნალობას, უკეთესია თუ მივენდობით ტრადიციული მედიცინასა და მედიკამენტოზურ მკურნალობას, გავატარებთ გარკვეულ პრევენციულ ღონისძიებებსაც, მაგალითისთვის მოვერიდოთ ისეთ პროდუქტებს, რომელზედაც ერთხელ უკვე გვქონდა ალერგია. ზემოაღნიშნული სიმპტომებისას უპირველესად ხდება ანტიჰისტამინური პრეპარატების მიღება, თუ რამდენიმე ხნის შემდგომ სიტუაცია არ გაუმჯობესდა უნდა მივმართოდ ექიმს, ხოლო ანაფილაქსიური შოკისას დაუყონებლივ საჭიროა მედიკოსის ჩარევა, ან თუ სხვა გზა არ არის დაზარალებულმა თავად უნდა გაიკეთოს საჭირო პრეპარატის ინექცია, რათა არ მივიღოთ სავალალაო შედეგი. დასასრულისთვის რჩევის სახით გეტყვით რომ გაუფრთხილდით საკუთარ ორგანიზმს, იცოდეთ მეტნაკლებად თუ რა იწვევს თქვენში ალერგიული რეაქციის განვითრებას, სეზონური ალერგიების თავიდან ასაცილებლად:

მტვერი, საკვები, წამალი და ა.შ. - ეს თითქოს ჩვეულებრივი, ყოველდღიური ყოფითი ნიუანსები, რომელსაც გვერდს ვერანაირად ავუვლით, ადამიანის გარკვეული კატეგორიისთვის შეიძლება სერიოზული გართულების მიზეზებად იქცეს.

ე.წ. ცხვირის «გაჭედვა», წყლიანი გამონადენი, ქავილი, ცემინება, ყურების «დაგუბება», სკლერების სიწითლე, ცრემლდენა, გამონაყარი, კანის სიწითლე, სიმშრალე, სახის მიდამოს: ტუჩების, ქუთუთოების, ლოყების შეშუპება, კანის აქერცვლა , სუნთქვის დარღვევა: ქოშინი, გაძნელებული და მსტვინავი სუნთქვა, შეტევითი ხველა და ა.შ. - ეს ის ალერგიული რეაქციებია, რომელიც გარკვეული კატეგორიის წამლებმა, საკვებმა, მცენარეების თუ ოთახის მტვერმა და სხვა ფაქტორებმა შეიძლება გამოიწვიოს. ზოგიერთი ადამიანის ორგანიზმი ბუნებაში არსებული, თუ ადამიანების მიერ შექმნილი

გაგრძელება →

სიტუაციების მიმართ ინდივიდუალური მგრძნობელობით გამოირჩევა. ამიტომაც ასეთ ინდივიდებს ნორმალური ცხოვრებისეული რიტმის შესანარჩუნებლად ალერგიის საწინააღმდეგო წამლების მოშველიება ხშირად უწევთ.

ალერგია გარემოში არსებული ზოგიერთი ფაქტორის მიმართ მომატებული მგრძნობელობაა. სწორედ ეს «ფაქტორები», რომელთაც ალერგენები ეწოდებათ, იწვევენ ალერგიულ რეაქციებს. ისინი ორგანიზმში ძირითადად სამი გზით ხვდებიან: სუნთქვის სისტემიდან, ანუ ინჰალაციური, საჭმლის მომნელებელი სისტემიდან ანუ ალიმენტური, კანსა და ლორწოვანთან შეხების ანუ კონტაქტური გზით.

ალერგიამ შეიძლება გამოიწვიოს ძალიან ბევრი დაავადების პროვოცირება: ზემო სასუნთქი გზების პათოლოგიები (რინიტი, სინუსიტი), ჭინჭრის ციება, ალერგიული დერმატიტი, ბრონქული ასთმა, ანაფილაქსია და ა.შ. მათგან ყველაზე საშიშია ანაფილაქსია, რაც შეიძლება გართულდეს ანაფილაქსიური შოკით და რამდენიმე წუთში დადგეს ლეტალური შედეგი. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია ალერგიის პროფილაქტიკა და მიზანმიმართული მკურნალობა, რაც დაავადების კონტროლირებად ფორმაში გადაყვანის შესაძლებლობას მოგვცემს. ეს თავიდან აგვაცილებს მინიმუმ ზოგად დისკომფორტს და შრომისუნარიანობის შესუსტებას, მაქსიმუმ - ლეტალურ შედეგს.



**სეზონური ალერგია კი, ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე რთული პერიოდია. სწორედ ასეთ დროს პაციენტის დასახმარებლად ერთვებიან ექიმები - რჩევებით, ფარმაკოლოგია - წამლებით. თუ ექიმს დროულად მიმართავთ და მკურნალობის კურსს სწორად ჩაიტარებთ, სეზონური ალერგიის მქონე ადამიანებისთვის გაზაფხულის დადგომასთან ერთად ჭადრის, ტირიფის, ფიჭვის, ნეკერჩხლის, თუთიის, მუხის, კაკლის და წიფელის ყვავილობა მარტიდან დაწყებული მთელი გაზაფხულის განმავლობაში შესაძლოა, ნაკლებად საშიში და მტკივნეული გახდეს.**

გიორგი ჯანელიძე

# ბრწყინვალე გონება

**რუბრიკა სახელწოდებით „ბრწყინვალე გონება„ ტელეკომპანია „არტარეას„ პროდუქტია. იგი ნიჭიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს წარმოგიდგენთ. ამ მოკლემეტრაჟიან პორტრეტებში კარგად ჩანს ის შეუზღუდავი შესაძლებლობები, რაც გადაცემათა ამ ციკლის გმირებს აქვთ. „იმედი პლუსი„ მათგან სამს- მწერალს, მხატვარს და მომღერალს წარმოგიდგენთ. მიუხედავად იმისა, რომ „არტარეას„ შემოქმედებითი ჯგუფი თბილისის მასშტაბით ნიჭიერ ადამიანებს ნებისმიერი შეზღუდულობით ეძებს, ისე მოხდა, რომ ამ სტატიაში სამმა უსინათლო ადამიანმა მოიყარა თავი.**

**ნოდარ მამაცაშვილი** ცხრა წლის იყო, როცა ოჯახის წევრებთან ერთად ავტოკატასტროფაში მოჰყვა. დარტყმა იმდენად მძიმე იყო, რომ ბავშვმა მხედველობა დაკარგა. მანქანაში მის გარდა ყველა დაიღუპა. ასე დაიწყო პატარა ბიჭმა ცხოვრების ახალი, ურთულესი ეტაპი. თუმცა, როგორც წლების შემდეგ ბატონი ნოდარი იხსენებს, ახალ გარემოში ადაპტაცია ბავშვისთვის უფრო იოლია: **„მას ის პრობლემები არ აქვს, როგორც ზოგადად წარმოუდგენიათ, თითქოს ეს იყოს ერთი არსებობიდან მეორეში გადასვლა, განცდები. მე არ მახსენდება მაინცდამაინც მძიმედ. ნებისმიერმა ადამიანმა ცხოვრება უნდა მიიღოს ისეთი, როგორც მოცემულობა„.** როგორც ბატონი ნოდარი გვიამბობს, სკოლის პერიოდში მას გარკვეული მიდრეკილებები ჰქონდა ლიტერატურის მიმართ, რამაც მას ფილოლოგიის ფაკულტეტზე გამოცდების ჩაბარება გადააწყვეტინა. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ შრომითი საქმიანობა



გაგრძელება →

გამომცემლობა „სხივში„ დაიწყო, სადაც წიგნების გახმოვანება-ჩაწერა წარმოებდა. თავდაპირველად ის იქ უმცროს რადაქტორად დაინიშნა, შემდგომში უფროს რედაქტორად გადაიყვანეს, საბოლოოდ კი გამომცემლობაში თავისი მოღვაწეობა დირექტორის თანამდებობით დაასრულა. მისი ხელმძღვანელობით, დაახლოებით 2000 წიგნი გამოიცა. ამჟამად ბატონი ნოდარი საქართველოს უსინათლოთა კავშრის წამყვანი სპეციალისტია: **„90-იან წლებში დრამატურგიამ გამიტაცა. დავიწყე ძირითადად რადიოპიესების წერა, ვინაიდან რადიოპიესები ჩემთვის უფრო ადვილად ხელმისაწვდომია და გარკვეული წარმატებები მქონდა-კიდეც-ჩემი ორი პიესა დაიდგა რადიოში. დაწერილი მაქვს ათამდე პიესა. სხვათაშორის, ამასწინათ უსინათლოთა კავშირის მოყვარულთა სცენაზე ჩემი პიესით შექმნილი სპექტაკლის პრემიერა შედგა სახელწოდებით „სანტქენიკოს სერგოს ცდუნებანი„„.** ნოდარ მამაცაშვილი სისტემატურად თანამშრომნლობს სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებთან. ჟურნალმა „ანეულმა„ რეზო ინანიშვილის სახელობის კონკურსში ნიჭიერ ავტორს პრემია მიანიჭა. მისი ახალი წიგნი „ნაწვიმარი მოგონება„ ბატონი ნოდარის რიგით მეოთხე კრებულია, რომელიც 21 მოთხრობისგან შედგება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ავტორის პირველი პროზაული გამოცემაა: **„ეს შემოქმედებითი პროცესები ჩემს შეჭირვებულ სოციალურ გარემოში არის ის ნათელი სხივი, რაც მე წონასწორობას მინარჩუნებს„.** ბატონ ნოდარს სამი შვილი ჰყავს. უფროსი ჟურნალისტია, მომდევნო-ფარმაცევტი და მესამე-ცოტნე, რომელიც როგორც მამამისი ამბობს, მისი მეგობარი და კონსულტანტია ტექნოლოგიურ საკითხებში და არა მხოლოდ. ცოტნეს დედა ავადაა და მამა-შვილი ძირითადად მასზე ზრუნვითაა დაკავებული: **„ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის ინფორმირებული ე.წ. შშ პირის შესახებ. ხან მოწყვლად ფენებსაც გვეძახიან, ხან-მარგინალურ ჯგუფებს, საზოგადოება ჯერ კიდევ სრულად არ არის ჩამოყალიბებული. ამიტომ, საჭიროა ამ მიმართულებით არასამთავრობო სექტორის მუშაობა, ვინაიდან ეს ხარვეზი არსებობს განვითარებადი ქვეყნების ცხოვრებაში და ამ მიმართულებით ვმოღვაწეობთ. ვცდილობთ, ჩავატაროთ ტრენინგები, მოვამზადოთ ჩვენი ხალხი საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის და საზოგადოება მოვამზადოთ ე.წ. მარგინალური ფენის მისაღებად„.**

**გიორგი ქობელაშვილი** შაქრიანი დიაბეტით ადრეულ ასაკში დაავადდა. 7 წლის იყო, როცა პირველად საავადმყოფოში მოხვდა. მხედველობის დაკარგვამდე ჯანმრთელობის სხვა პრობლემები შეექმნა. დიაბეტის ფონზე ნეფრიტი გადაიტანა, თირკმელმა მუშაობა შეწყვიტა: **„მანამდეც მიყვარდა ხატვა. საავადმყოფოში რომ დამაწვინეს დიაბეტით, ვთხოვე, რომ მოეტანათ სახატავი ალბომი და ფლომასტერები. ვიწექი ლოგინში და ვხატავდი. ნეფრიტთან ერთად, შევატყვე, რომ მხედველობა თანდათან მიქვეითდებოდა. 1998 წელს კი სულ დავკარგე იგი„.** ნო-



დარ მამაცაშვილის მსგავსად, გიორგიც მშვიდად შეხვდა თვალის ჩინის დაკარგვას. მან თბილისის სამხატვრო აკადემიის მონუმენტურ-დეკორატიული მოხატვის ფაკულტეტი ზურაბ წერეთლის ხელმძღვანელობით 1994 წელს დაამთავრა. სინათლის დაკარგვამდე ფერწერულ ტილოებს ქმნიდა. მისი სადიპლომო ნაშრომი „ძელი თბილისი„ ქობელაშვილების ნაქირავები ბინის კედელს ამშვენებს. ფერწერულ ნამუშევრებს, როგორც თავად ამბობს, ველარ შექმნის: **„ჩემი მდგომარეობის შესაბამისად, ახალი იდეები მომივიდა. კომპოზიციის გასანაწილებლად ლურსმნებსაც ვიყენებ. ლურსმნებს და ჭიკარტებს დაფაზე ვამაგრებ და მათ ჩემი ჩანაფიქრის მიხედვით ვანაწილებ. ადვილი არ არის, როდესაც მხედველობას კარგავს ადამიანი, მაგრამ მაინცდამაინც პანიკებში არ ჩავვარდნილვარ. ღმერთის წყალობით შემართებით შევხვდი„.** გიორგის მთავარი ასისტენტი მისი დედაა, რომელიც შვილს ხატვის რთულ პროცესს უადვილებს, სასურველი ფერის ფანქარს ურჩევს და საჭირო რჩევებსაც აძლევს. გიორგი დედასთან ერთად ქაშუეთის ტაძარში ან მის საცხოვრებელ სახლთან მდებარე პატარა ეკლესიაში წირვას ესწრება-ხოლმე. ჰყავს მოძღვარი: **„მხედველ ადამიანს ვერ წარმოუდგენია, თუ როგორ შეიძლება უსინათლომაც დახატოს. თავიდან ჩემთვისაც წარმოუდგენელი იყო, მაგრამ მერე ისე მოვირგე ამ ჩემ მდგომარეობაზე, რომ ახალი მეთოდები შევიმუშავე: ცხვირთან, ყურთან, ნიკაპთან და თვალებთან უნდა დამაგრდეს ჭიკარტები, თავის მოხაზულობა გავაკეთოთ და უკვე იქ უნდა მიეცეს ფერები„.** გიორგის არაერთ გამოფენაში მიუღია მონაწილეობა. ერთ-ერთ მათგანზე აშშ-ს ყოფილ ელჩს, რიჩარდ ნორლანდს გიორგის მიერ 15 წლის ასაკში შექმნილი შავ-თეთრი ნამუშევრის, ცნობილი ამერიკელი მსახიობის, ჯესიკა ლანჯის პორტრეტის შეძენის სურვილი გამოუხატავს, მაგრამ ავტორმა იგი ველარ დათმო. არადა, ამ უნიკალური პორტრეტის შექმნის დღიდან ჯესიკა ლანჯისთვის ამ სურათის საჩუქრად გაგზავნა სურდა.

**შაბან მამედოვმა** მხედველობა 8 თვის ასაკში დაკარგა. ის ახლა 14 წლისაა. როგორც მამამისი, ფარილი იხსენებს, თავდაპირველად ჩვილი უმნიშვნელო გაციების გამო მარნეულის საავადმყოფო-

გაგრძელება →

ში მიიყვანა, სადაც გადასხმები გაუკეთდა, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, წვეთოვანის გადაჭარბებულმა დოზამ პატარას მხედველობის პრობლემები შეუქმნა. როცა იგი თბილისში გადაიყვანეს, ექიმების ყველა მცდელობა დაგვიანებული აღმოჩნდა. 11 თვის ბავშვს სასწრაფო ოპერაცია გაუკეთდა, მაგრამ უშედეგოდ. ფარილი ცხრამეტი წელი ქართულ არმიაში მსახურობდა, აქვს ბევრი დამსახურება და ჯილდო. მაგრამ ბიჭუნას მდგომარეობამ ფარილი რთული არჩევანის წინაშე დააყენა: სამშობლოს სამსახური ან შვილი. მან ეს უკანასკნელი არჩია და გადაწყვიტა, მთელი თავისი დრო შაბანისთვის დაეთმო. ფართო საზოგადოების წინაშე შაბანი პირველად სატელევიზიო შოუ „ნიჭიერის„ მეშვეობით წარსდგა: **„6 წლის ასაკიდან დავინტერესდი მუსიკით. თავიდან მამამ პატარა სათამაშო სინთეზატორი მიყიდა და მითხრა, რომ თუკი რომელიმე მუსიკალური კომპოზიციის უშეცდომოდ დაკვრას ვისწავლიდი, ნამდვილ ინსტრუმენტს მიყიდდა. ასეც მოხდა, მან სიტყვა შეასრულა„.** შაბან მამედოვს არაერთ მუსიკალურ კონკურსში მიუღია მონაწილეობა. როგორც თავად იხსენებს, მისთვის დღემდე ყველაზე მნიშვნელოვანი ბათუმის საერთაშორისო კონკურსზე გრანპრის მიღება იყო, რის შედეგადაც ის ლატვიაში, ყაზახეთსა და ბაქოში მიიწვიეს. საკუთარ თავსა და შესაძლებლობებში დარწმუნებული შაბანი მომავალი წარმატებებისთვის ემზადება. მას ნინი ბადურაშვილთან და „ბრავო რექორდსთან„ ერთად დუეტი აქვს ჩაწერილი („მომენდე„). ის შესანიშნავად საუბრობს ქართულად, რაც თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლის პედაგოგთა დამსახურებაა: **„თავიდან ამბობ, რომ ამდენი წარმატება მაქვს და ეს ჩემთვის აღარაფერს ნიშნავს, მაგრამ როდესაც კონკურსზე ხარ და ადგილებს აცხადებენ, ღელავ, არ იცი ვაითუ მესამეა. მესამეს რომ გაცდება, ალბათ მეორეა, მეორესაც გაცდება, ნამდვილად პირველია და როცა პირველიც აღარ არის, იცი, რომ გრანპრია„,** ეღიმება შაბანს. ჩვენ მას მაშინ ვესტუმრეთ, როცა საერთაშორისო კონკურს „ერთიანი კავკასიისთვის„ ემზადებოდა. მისი მშობ-



ლებიც მასთან ერთად ჩართულნი არიან ყველა სამზადისში, რაც კი შაბანის სამომავლო მუსიკალურ კარიერას უკავშირდება: **„მე ჩემს მშობლებს დიდ მადლობას ვუხდი და მოვუწოდებ ყველა მშობელს, რომ არ შერცხვეთ იმისი, რაც ღმერთმა მოგცათ. ღმერთის ნებაა, როგორი იქნება ადამიანი-უსინათლო, ყრუ-მუნჯი თუ სხვა. არ დამალოთ შვილები, ყველგან ატარეთ, რა იცით რა გამოვა აქედან. იქნებ, მათ ისეთი რამ შეუძლიათ, რაც სხვებს არ შეუძლიათ„.**

## ᲞᲠᲝᲔᲥᲢ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲖᲘᲣᲠᲘᲡ" ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲦᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡ



*შეუერთდი განხილვას*

ორგანიზაცია „მზიანმა" დღეს თბილისის მერიაში პროექტი შეიტანა, რომელიც მზიურის პარკში უფუნქციოდ დარჩენილი ამფითეატრისა და კაფის ტერიტორიის აღდგენას გულისხმობს და მერიისგან შესაბამის მხარდაჭერას ითხოვს. პროექტ „ახალი მზიურის" იდეის ავტორისა და „მზის ფესტივალის" ორგანიზატორის ანა გოგუაძის ინფორმაციით, ორგანიზაციას მოლაპარაკებები აქვს დონორ ორგანიზაციებსა და კერძო კომპანიებთანაც. გარდა ამისა, „მზიანი" საზოგადოებისგან მხარდაჭერასაც ითხოვს და ამასთან დაკავშირებით ღია წერილს აქვეყნებს.

„მოქალაქეების მობილიზებისა და პროექტის გამჭვირვალობის მიზნით შევქმენით სოციალურ ქსელში (facebook) ჯგუფი „ახალი მზიური", სადაც ნებისმიერ თქვენგანს პროექტთან დაკავშირებით შენიშვნების გაზიარების საშუალება აქვს, შეგიძლიათ, შემოგვთავაზოთ ახალი იდეები და მიიღოთ მონაწილეობა მათ განხორციელებაში. მჯერა, ჩვენ გავერთიანდებით ჩვენი ქალაქისათვის საჭირო და აუცილებელი იდეის გარშემო", - წერია ღია წერილში.

გაგრძელება →

რაც შეეხება პროექტის მიზნებს, როგორც აღინიშნა, მის ფარგლებში სოციალური კაფისა და ამფითეატრის შექმნა იგეგმება. სოციალური კაფე სოციალური მეწარმეობის განვითარებას შეუწყობს ხელს და მისი პირველადი მიზანი არა კომერციული მოგება, არამედ სოციალური გარემოს შექმნა იქნება.

პროექტის მიხედვით, მზიურის კაფისა და ამფითეატრის ინფრასტრუქტურა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ადაპტირებული და მისაწვდომი იქნება. გაკეთდება პანდუსები, მოაჯირები, უსინათლოებისთვის სანიშნეები, მცირე მხედველებისთვის დიდი შრიფტები, სმენის არმქონეთათვის სპეციალური ნიშნები, მენიუსა და ყველა საინფორმაციო ბუკლეტზე გამოყენებულ იქნება ბრაილის შრიფტი, ერთ-ერთი თანამშრომელი იქნება ჟესტური ენის სპეციალისტი:

„მსგავსი გარემო არა მარტო შშმ პირების თავისუფალ გადაადგილებას შეუწყობს ხელს, არამედ ხანდაზმულებს და საბავშვო ეტლებს გაუადვილებს მოძრაობას. ეს იქნება პირველი სრულიად ადაპტირებული გარემო საქართველოში“, - წერია პროექტში.

ასევე, პროექტის მიხედვით, მზიურის ქალაქში გახსნილი არამომგებიანი კაფე ხელს შეუწყობს სოციალური ინკლუზიური გარემოს შექმნას, ხალხის ერთმანეთთან დაკავშირება-დამეგობრებას და პასუხისმგებლობისა და სამოქალაქო შეგნების განვითარება-ამაღლებას. მოგების მეშვეობით მოხდება პროექტის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფა. შექმნილი ადაპტირებული და მისაწვდომი ინფრასტრუქტურა გამოყენებულ იქნება, როგორც საქველმოქმედო, ასევე კომერციული მიზნებისთვის. შემოსული თანხა ჩაბრუნდება პროექტის საქმიანობებში და მოხმარდება, როგორც სხვადასხვა შემეცნებით-გასართობ, ინკლუზიური ღონისძიებების მოწყობას, ისე ადამინთა იმ ჯგუფებს, რომელთაც ყველაზე მეტად სჭირდებათ გაძლიერება და ხელშეწყობა პროფესიული უნარების განვითარებასა და დასაქმებაში - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, სახელმწიფო პროგრამიდან გამოსულ მზურნველობა მოკლებულ და სოციალურად დაუცველ ახალგაზრდებს. პროფესიულ კოლეჯებთან, სხვადასხვა არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით სპეციალური საგანმანათლებლოს საჭიროების მქონე სტუდენტებს მიეცემათ მზიურის სივრცეში სტაჟირების, პროფესიაში გაძლიერების და დასაქმების საშუალება.

„სოციალური კაფე მომხმარებელს ხელმისაწვდომ ფასებში შესთავაზებს პროდუქციას, რომელიც გათვალისწინებული იქნება ბავშვების, მოზარდებისა და ზრდასრულებისთვის. კაფე დაიტვირთება რეგულარული ღონისძიებებით, როგორიცაა ლიტერატურული და შემოქმედებითი საღამოები, გამოფენები, პრეზენტაციები, სხვადასხვა სახის თემატური დღეები (ხატვის დღე, წიგნის დღე, კულინარიული დღეები, საბავშვო გასართობი დღეები).

ამფითეატრი სეზონურად დაიტვირთება სხვადასხვა ინტეგრირებული ღონისძიებებით: საბავშო კლასიკური მუსიკის ფესტივალი, ღია კინო ჩვენებები, დისკუსიები, მრავალფეროვანი მუსიკალური კონცერტები, საბავშვო ინკლუზიური სპექტაკლები და კონცერტები, შემოქმედებითი საღამოები. ამფითეატრი ხელმისაწვდომ ფასში განახორციელებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიების ორგანიზებას და უფასოდ მოემსახურება ახლაგაზრდა არტისტების საღამოებს, მათი შემოქმედებითი განვითრების ხელშეწყობის მიზნით“, - აღნიშნულია „მზიანის“ პროექტში.

## ინტერვიუ

# როგორ დავეხმაროთ ბავშვს, განავითაროს სწავლისთვის საჭირო უნარი ?

**მაია ასაკაშვილი**



**ბავშვის ფსიქიკური განვითარება რთული პროცესია, რომელიც მოიცავს ბავშვის შეგრძნებების, მოძრაობის, შემეცნებითი სფეროს, მეტყველებისა და ემოციური სფეროს ჩამოყალიბებასა და დახვეწას. ბავშვის განვითარების პროცესი რთული და მრავალმხრივია. მისი ნორმალური ფსიქიკური განვითარება განუყოფელია მისი ფიზიკური განვითარებისა და ცენტრალური ნერვული სისტემის მომწიფებისგან.**

**ყოველი ასაკობრივი პერიოდი ფსიქიკური პროცესების, ქცევისა და ფიზიკური შესაძლებლობების თავისებურებებით ხასიათდება, ამ კანონზომიერებიდან გადახრა იწვევს განვითარებაში ჩამორჩენას და ამა თუ იმ უნარის განვითარების დაგვიანებას. რა არის ამის გამომწვევი მიზეზი, რა**

გაგრძელება →

**გარემო ფაქტორები მოქმედებენ ბავშვის განვითარებაზე.**

**რა არის დასწავლის უნარის დაქვეითება ?– როგორ უნდა მოვიქცეთ, როცა ბავშვს მეტყველებისა და კომუნიკაციის პრობლემები აქვს? როგორ უნდა მოხერხდეს მსხვილი, ნატიფი მოტორიკის, განვითარება? როგორ დავეხმაროთ ბავშვს, განავითაროს სწავლისთვის საჭირო უნარები? ¯ ამ საკითხებზე სასაუბროდ და რეკომენდაციების გასაწევად მოვიწვიეთ ნევროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტის ნეიროფსიქოლოგი, პროფესორი თამარ გაგოშიძე.**

ბავშვის განვითარებაზე მოქმედებს, როგორც ბიოლოგიური, ისე გარემო, სოციალური ფაქტორები, რაც შეეხება განვითარების შეფერხებასა და დაგვიანებას, იმის გამო, რომ ცენტრალური ნერვული სიტემა არ არის მომწიფებული ან ვერ მწიფდება ამას ბიოლოგიური ფაქტორები განაპირობებენ.

მუცლად ყოფნის პერიოდში, ორსულ ქალზე ბევრი ფაქტორი შეიძლება მოქმედებდეს დაწყებული საკვებიდან ჰაერით და სხავდასხვა მავნე ტერატოგენური ზემოქმედებით დამთავრებული, რაც გავლენას ახდენს ნაყოფზე. იგივე შეიძლება მოხდეს პოსტნატალურ პერიოდში. შესაძლოა, იყოს ფაქტორები, ინფექციები, დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალურ გარემოს. მაგალითად, სრულიად ჯანრთელი ბავში, როცა მას არ აქვს მეტყველებით გამდიდრებული გარემო, შეიძლება შეფერხდეს მისი მტყველების განვითარება. ასე, რომ ცნობილი დავა იმის შესახებ, რა არის წამყვანი ბიოლოგიური ფაქტორი, თუ სოციალური დღესაც გრძელდება. ძალიან ბევრი მეცნიერი თვლის, რომ ორივე ფაქტორი არის მნიშვნელოვანი ბავშვის სრულფასოვანი განვითარებისათვის. ამიტომ შეზღუდული შესაძლებლობა როცა არსებობს, დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალურ გავლენას, ოჯახსა და საზოგადოებას, რომ კომპენსირებული იყოს მისი შესაძლებლობა.

**რა არის დასწავლის უნარის დაქვეითება? ხშირად ტერმინის ინტერპრეტირება არასწორად ხდება, მიმდინარეობს სხვადსხვა იარლიყის მიწებება ბავშვებისთვის, ვისაც დასაწავლის უნარი აქვს დაქვეითებული, როგორია თქვენი მოსაზრება?**

სხვათა შორის, დასწავლის უნარის დაქვეითებას იარლიყსაც ვერ აწებებენ. მისი იდენტიფიკაცია ვერ ხერხდება ხოლმე. რა არის დასწავლის უნარის დაქვეითება?- ეს არის მიზანმიმართული დასწავლის შეფერხება ანუ იმ უნარების შეფერხება, რომელიც სჭირდება აკადემიური უნარების ათვისებას: წერას, კითხვასა და ანგარიშს. ჩვენი ფსიქიკა შენდება, როგორც შენობა. უნდა იყოს ფუნდამენტი, საბაზისო უნარები ანუ ის პროცესები, რომელიც არ სჭირდება აკადემიური უნარების ათვისებას: წერას, კითხვასა და ანგარიშს, მაგრამ მათ გარეშე ამ ყველფერს ვერ ისწავლი. ამის შემდეგ ფუნდამენტზე შენდება სართულები ანუ ის აკადემიური ჩევევბი, რომელსაც სკოლაში ვეუფლებით.

დასწვალის უნარის დაქვეითება არის ამ ელემენტარული საბაზისო უნარების განვითარებაში შეფერხება, რომელიც შემდგომ იწვევს წერის, კითხვისა და ანგარიშის პრობლემას. ინტელექ-



ტი არის ნორმის ფარგლებში, ეს არის პრობლემა, რადგან ბავშვებს გარეგნულად არ ეტყობათ. ამიტომ , პირველ კლასელ ბავშვს, ამ შემთხვევაში, ეწებება იარლიყი ,,ზარმაცი'', პირველკლასელი ,,ზარმაცი'' ბავშვი არ არსებობს. მას აუცილებლად აქვს პრობლემა. პრობლემა რაში მდგომარეობს?- სკოლამდე ეს პრობლემა არ ჩანს, ამიტომ ინათლება ბავშვი ,,ზარმაცად''. იგი თითქოს ჩვეულებრივი ბავშვია, მისი იდენტიფიკაცია სკოლამდეც შეიძლება, განსხვავება ინტელექტუალურ შესაძლებლობასა და აკადემიურ მიღწევებს შორის იძლევა საშუალებას ამ მდგომარეობას ვუწოდოთ დასწავლის უნარის დაქვეითება.

დასწავლის უნარის დაქვეითების დროს დარღვეულია ის ძირითადი ფსიქიკური პროცესები, რომლებიც მეტყველების, (ზეპირ თუ წერით გაგებასა ან გამოყენებაში იღებენ მონაწილეობას), მოსმენის, აზროვნების,ლაპარაკის, კითხვის, წერის, დამარცვლის ან მათემატიკური უნარების დარღვევების სახით შეიძლება გამოვლინდეს. თავად ტერმინი მოიცავს ისეთი მდგომარეობის არსებობასაც , როგორებიც არის: პერცეპტიული დარღვევები, თავის ტვინის დაზიანებები, ტვინის მინიმალური დისფუნქცია, დისლექსია და განვითარების აფაზია.

**ქალბატონო თამარ არსებობს მიდგომა, რომლის მხიედვითაც დასწავლის უნარის დაქვეითება და გონებრივი ჩამორჩენა სინონიმური ცნებებია. არსებობს განსხვავება IQ–სა და მიღწევის დონეს შორის, როგორც IQ, ისე მიღწევის დონე ნორმაზე დაბალია, რა განსხვავებაა მათ შორის?**

რთული შეკითხვაა, ამერიკული სივრცე და ევროპული სივრცე ამის დეფინიციას სხვადასხვაგვარად აკეთებენ. ამერიკული გამოცილებით, გონებრივი ჩარმორჩენა არის გლობალური შეფერხება ანუ ყველა უნარი არის შეფერხებული, ელემენტარული შენარჩუნებული: აღქმა შენარჩუნებულია, ელემენტარული მეხსიერება შენახულია. დასწავლის უნარის დაქვეითების დროს, პირიქით, უმაღლესი უნარი არის უფრო განვითარებული, ვიდრე ელემენტარული. ევროპულ სივრცეში დასწავლის უნარის დაქვეითება და გონებრივი ჩამორჩენა სინონიმად ითვლება, დიაგნოსტიკური კრიტერიუმების სახელმძღვანელოების მიხედვით, ორი განსხვავებული კატეგორიაა და

გაგრძელება →



დიაგნოზიც სხვადასხვა ისმება. მე ჩემს პრაქტიკაში ამერიკული დეფინიციით ვხელმძღვანელობ.

**ქალბატონო თამარ, დასწავლის უნარის დაქვეითების ხარისხის დასადგენად ინტელექტის კოეფიციენტის საზომი გამოიყენება. რამდენი ხარისხის არსებობს დასწავლის უნარის დაქვეითება?**

ინტელექტის კოეფიციენტის საზომი არ არის საკმარისი იმისთვის, დასწავლის უნარის დაქვეითებაზე გავაკეთოთ დასკვნა, რატომ?- ინტელექტის შეფასება არ გვაძლევს საშუალებას, ვნახოთ ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეები, მისი უფრო ფართო არეალში მოქმედების საშუალებები.

გარდა ამისა, ინტელექტის ტესტი არ გვაძლევს ბავშვის რეალური მიღწევების, აკადემიური აქტივობის, როგორიც არის: წერა, კითხვა, ანგარიში შეფასების შესაძლებლობას. ინტელექტის ტესტი აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი, ამით ჩვენ ვამოწმებთ ბავშვის ინტელექტუალაურ პოტენციალს, ამასთან ერთად , აუცილებელია, მიღწევის ტესტი, სპეციალური შეფასების საშუალებები ასაკის მიხედვით კითხვას, წერასა და ანგარიშში, რაც პრობლემაა საქრთველოში, ორივე საზომის არსებობა აუცილებელია .

**ქალბატონო თამარ, ინტელექტუალური დონის ცოდნა ზოგ შემთხვავში, ცოტას გვეუბნება იმის შესახებ, თუ ვინ არის ის ადამიანი, რა სახის დახმარება და მხარდაჭერა ესაჭიროება, რამდენად დამოუკიდებელია იგი? როგორ შეიძლება სრულად შეფასდეს?**

სხვათა შორის, განსხვავებული სტრატეგიაა დასწავლის უნარის დაქვეითებისა და გონებრივი ჩამორჩენის შემთხვევაში. როცა დასწავლის უნარის დაქვეითებაზეა საუბარი, აუცილებელია, გარდა ინტელექტისა შევაფასოთ ბავშვის აკადემიური მიღწევები, როგორ წერს, როგორ კითხულობს, როგორ ანგარიშობს, სად აქვს პრობლემა? რა არის სირთულე? - ვერ კითხულობს ან არ კითხულობს, არ არის დიაგნოზი. დიაგნოსტიკური პროცესი ეს არის - გავარკვიოთ, რატომ ვერ კითხულობს?

ჩვენ მშობლები გვაკითხავენ არა უშუალოდ დასწავლის პრობლემებით, არამედ, ქცევის პრობლემებით. დასწავლის პრობლემის ყველაზე უარყოფითი შედეგი არის ემოციური, ქცევითი პრობლემა. ბავშვმა ყველაზე უკეთ იცის, რა შეუძლია, როცა იგი ძალიან ჩამორჩება, ეს იწვევს ქცევის პრობლემას. ასეთ ბავშვებს ძალიან დაბალი თვითშეფასება აქვთ. მე ბევრი მაგალითის მოყვანა შემიძლია, მე–4, მე–5 კლასელი ბავშვები მოჰყავთ მშობლებს ქცევის პრობლემით, აღმოჩნდება, რომ მათ აქვთ კითხვის პრობლემა, ანგარიშის ან წერის პრობლემა. ეს არ ჩანს. ბავშვი ყველაზე კარად ახერხებს, დამალოს ეს ყველაფერი. მას ურჩევნია, ერქვას ზარმაცი ბავშვი, ვიდრე ჩათვალონ სულელად. რაც შეეხება გონებრივი ჩამორჩენის დიაგნოსტირებას, რა თქმა უნდა, აუცილებელია მისი ინტელექტის შეფასება, ამავე დროს, აუცილებელია მისი ფუნქციონირების ხარისხის შეფასება, როგორ არის ადაპტირებული გარემოსთან. ამ შემთხვევაში, გვჭირდება ადაპტაციური ქცევის შეფასების ტესტი. საქართველოში ტესტების დიდი პრობლემაა. გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ადაპტაცია გააკეთა ვაინლენდის ადაპტაციური უნარების შეფასების ტესტზე, მეც ვიყავი კონსულტანტი, ეს ძალიან მნიშვნელოვანია გონებრივი ჩამორჩენის შემთხვევაში.

**ქალბატონო თამარ, უმეტეს შემთხვევებში, როდესაც დასწავლის უნარის დაქვეითების მქონე ბავშვს არ მიეწოდება შესაბამისი სერვისი, პედაგოგები არასაკმარისი ცოდნითა და უნარ–ჩვევებით გამოირჩევიან, ბავშვს პრობლემები ექმნება სკოლაში. როგორ უნდა ხდებოდეს ინდივიდულაური საგანმანათლებლო გეგმის შედგენა და ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო გეგმის ბავშვთა საჭიროებებზე მოდიფიცირება ? როგორ დავეხმაროთ ბავშვს, განავითაროს სწავლისთვის საჭირო უნარი?**

ეს ძალიან მნიშვნელოვანი შეკითხვაა. ასეთი ბავშვები ვერ ხვდებიან იმ არეალში, რასაც ინკლუზიური განათლება ჰქვია. ისინი დიდად არ გამოირჩევიან სხვა ბავშვებისგან, აღმოჩნდება რომ, ვერ კითხულობენ, ვერ წერენ, ვერ ძლევენ მათემატიკას, მათი მდგომარეობა არათავალსაჩინოდ არის გამოხატული. შესაბამისად, სტრატეგია მათი დახმარების თავსაზრისით, არ დგას. მათი მდგომარეობა თვასაჩინოდ არ ჩანს. ეს არის არათვალსაჩინო შეზღუდული შესაძლებლობა. ამ თვასაზრისით, დასწავლის უნარის დაქვეითების მქონე ბავშვები უფრო ტრაგიკულები არიან, მათ აწებებენ იარლიყს ზარმაცს, უპასუხისმგებლოს, უცოდინარს. დახმარების სტრატეგია ინკლუზიური განათლების თვალსაზრისით, არ დგას დღის წესრიგში, როგორც სხვა შეზღუდულობის დროს არის. აუცილებელია ბავშვის შეფასება, ბავშვებს ვერ აფასებენ, ვინაიდან მასწავლებელს არ აქვს სათანადო ცოდნა და არც ევალება. შეფასება უნდა გააკეთოს ფსიქოლოგმა, ყველა სკოლას არ ჰყავს ფსიქოლოგი. ბავშვის

გაგრძელება →

შეფასება, დიაგნოსტირება აუცილებელია, სად აქვს მას პრობლემა , მხოლოდ ამის შემდეგ, არის საჭირო ძლიერი და სუსტი მხარის გამოკვეთა, რომ ძლიერ მხარეზე დაყრდნობით, ვცადოთ სუსტი მხარის აღმოფხვრა.

**ქალბატონო თამარ, ექსპრესიული მეტყველება ეს არის აზრის სიტყვებში ჩამოყალიბების უნარი. იგი მოიცავს სიტყვის არტიკულაციას, ფრაზის სინტაქსურ აგებას, თხრობას. ექსპრესიული მეტყველების ფუნქციაა, აზრისა და ემოციის გადაცემა, გაზიარება მოსაუბრისათვის. ამ უნარის განვითარება აუცილებელია სასკოლო მზაობისთვის, როგორ ხდება ამ მიმართულებით მუშაობა?**

არსებობს დასწავლის უნარის დაქვეითების რამდენიმე ფორმა. ერთ - ერთი არის მეტყველებით გაშუალებული უნარების პრობლემა ანუ ვერბალური. არსებობს მხედველობით- სივრცითი უნარების, არავერბალური მეტყველების, ექსპრესიული დარღვევა, როცა ადამიანს უჭირს სიტყვებში აზრის ჩამოყალიბება, ეს განსხვავდება დასწავლის უნარის დაქვეითებისგან. დასწავლის უნარის დაქვეითების მქონე პირს მეტყველების დაქვეითების პრობლემა არ აქვს. სიტყვების დახსომება, წაკითხულის გააზრება, ბგერების გამორჩევა სიტყვებში უჭირს.

ექსპრესიული მეტყველების დარღვევა განსაკუთრებული კატეგორიაა, ეს შეიძლება აღმოვაჩინოთ, როცა ბავშვი პატარაა, ეუფლება მეტყველებას ან გაუგებრად მეტყველებს, მაგალითად, ორი წლის ასაკში ბავშვი, როცა ფრაზას ვერ აბამს, ორ სიტყვიან წინადადებას ვერ ამბობს, საჭიროა ჩარევა. ჩვენ უნდა ველაპარაკოთ ბავშვს მუდმივად, სურათები ვაჩვენოთ. როცა ბავშვი უმეტყველო გარემოში იზრდება, მაგალითად, საბავშვო ბაღში ჯგუფში ბევრი ბავშვია, მასწავლებელი ვერ ახერხებს, სათანადო ყურადღება მიაქციოს ყველას, ოჯახში მშობლები მუშაობენ და სამსახურიდან მოსულებს არ აქვთ იმის დრო, დაუჯდნენ და იმუშაონ ბავშვის მეტყველების განვითარებაზე. როცა ბავშვი იზრდება უმეტყველო გარემოში, ეს ძალიან უარყოფითად აისახება მის განვითარებაზე. ზოგჯერ მოჰყავთ 6 წლის სასკოლო ასაკის ბავშვები, რომელთაც მეტყველება არ შეუძლიათ. ზოგჯერ მშობლები თვლიან, რომ ბიჭები გვიან იწყებენ ლაპარაკს, ჩვენ ამას ვერ დაველოდებით. ბავშვი, რომელიც ვერ ლაპარაკობს, შემდეგ მას პრობლემა ექმნება წერა– კითხვის. ვიღაც თავისით დაილაპარაკებს, ზოგიერთს სერიოზული დახმარება სჭირდება. 4 წლის ბავშვს, რომელსაც ექსპრესიული მეტყველების პრობლემა აქვს, აუცილებლად წერა- კითხვის პრობლემა შეექმნება და შეფასდება დასწავლის უნარის დაქვეითებით.

**ქალბატონო თამარ, ჩვენ ვსაუბრობდით დროულ ჩარევაზე, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი ნოზოლოგიის შემთხვევაში. თქვენ აღნიშნეთ, რომ არსებობს სახელმწიფო პროგრამა სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის, რომ მოხდეს დროული ჩარევა და მშობლებმა არ დააგვიანონ, რას გვეტყოდით ამ საკითხზე?**

პრობლემის აღმოსაფხვრალად დიდი მნიშვნელობა აქვს ადრეული განვითარების პროგრამას. სახელმწიფომ კარგი ინიციატივა გამოიჩინა, ჯანდაცვის სამინისტრო აფინანსებს პრევენციულ პროგრამას. დროული აღმოჩენა პრობლემის, ეს ბავშვთა ასაკის ადრეული განვითარება და პრევენციაა. ამ პროგრამას ახორციელებს ნევროლოგიისა და ნეიროფსიქოლოგიის ინსტიტუტი 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის. პროგრამის ფარგლებში, ბავშვის შეფასება ხდება ნევროლოგისა და ნეიროფსიქოლოგის მიერ, მშობელს წერილობითი სახით მიეწოდება დასკვნა, საკუთარ შვილთან დაკავშირებით, მშობელს ფსიქოგანათლება უტარდება, რა პრობლემა აქვს ბავშვს, სახლში ეძლევა სპეციალური, ბავშვზე ორინეტირებული სავარჯიშოები.

**ქალბატონო თამარ, რა სტრატეგიები უნდა იქნას გამოყენებული კითხვისა და წერის უნარების ათვისების გასაუმჯობესებლად?**

ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი, კითხვის უნარის განვითარება ერთ–ერთი მნიშვნელოვანი უნარია. კითვის სტრატეგიების სწავლება ჩვეულებრივ ბავშვებშიც არის, არა მხოლოდ შშმ პირებში. ეს სტრატეგიები მასწავლებელმა უნდა იცოდეს, როგორ ასწავლოს. ეს არის მეცნიერება, პირველ კლასში, ჩემი აზრით, მასწავლებლები სწრაფად გადადიან ასოების ცნობიდან მარცვლებზე და შემდეგ კითხვაზე. მოსამზადებელი სამუშაო არც საბავშვო ბაღში და არც სკოლაში არ ტარდება. ფონოლოგიურ უნარებს ანუ სიტყვაში ბგერის გარჩევას და ბგერების სიტყვაში გაერთიანებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.



არც ბაღში ეთმობა დრო ამ საკითხს, იქაც ასოებს ასწავლიან, ცდილობენ, კითხვა ასწავლონ ბავშვებს. სკოლაში სწრაფად გადადიან კითხვაზე, კითხვის ავტომატიზაცია ერთია, მეორე- წაკითხულის გააზრება, ეს არის მთავარი.

არიან ბავშვები, რომლებიც კარგად კითხულობენ,მაგალითად, დისლექსიით, კითხვის უნარის დაქვეითებით, რომლებიც კითხულობენ, მაგრამ აზრი ვერ გამოაქვთ. არიან ბავშვები, რომლებიც საერთოდ ვერ კითხულობენ. მრავალი მეთოდი არსებობს, მაგრამ თუ არ ვიცით მიზეზი, რატომ ვერ კითხულობს, ძნელია დახმარება. მაგალითად, ზოგიერთს უჭირს თვალის გაყოლება, არიან ბავშვები, რომლებიც ხტიან სტრიქონიდან სტრიქონზე, თვალს ვერ აყოლებენ, არიან ბავშვები, რომელთაც ფონოლოგიის პრობლემა აქვთ,

გაგრძელება →

სიტყვაში ბგერების გარჩევის. მუშა მეხსიერება, კომპიუტერული ოპერატიული მეხსიერება დაქვეითებულია. როცა ჩვენ რაღაცას ვაკეთებთ, ჩვენი მიმდინარე მეხსიერება იტევს ინფორმაციას. ბავშვებს, რომელთაც კითხვისა და წერის უნარი აქვთ დაქვეითებული პრობლემები აქვთ, უჭირთ ვიზუალური გარჩევა, ბგერების გარჩევა, თავში წაკითხულიდან ბოლოში აზრის გაგება, მუშა მეხსიერება დაქვეითებულია, ასეთ შემთხვევაში, თუ მხედველობით -სივრცითი



გარჩევა არ მაქვს, მუშა მეხსიერება და მეტყველება არ მივარგა , ვიზუალური გარჩევა, ფონოლოგია მიჭირს, ძალიან გამიჭირდება კითხვა, ეს ყველა უნარი უნდა გააჩნდეს, ადამიანს , რომ შეძლოს კითხვა, თუ ეს ყველაფერი დაზიანებულია, მათ შორის წვრილი მოტორული უნარები, ვერც წერას ვერ შევძლებ.

**ქალბატონო თამარ, როგორ მიმდინარეობს მსხვილი მოტორიკის განვითარებაზე მუშაობა?**

დასწავლის უნარის დაქვეითების პროლემები ჩანს, როცა ბავშვი შევა სკოლაში, მანამდე ეს არ ჩანს გამოკვეთილად. როცა ვიკვლევთ ბავშვს, მშობელი ხშირად ამბობს, არ მისმენდა, როცა ზღაპარს ვუყვებოდი, სურათები არ აინტერესებდა, ბურთის თამაში არ უყვარდა, უჭირდა ველოსპიედზე ჯდომა, არ მოსწონდა ლექსის მოყოლა, აქ ჩანს, რომ ბავშვს აქვს ძალიან დიდი პრობლემა, ეს არის ნიშნები, რასაც მშობელმა უნდა მიაქციოს ყურადღება. რაც შეეხება ნატიფ მოტორიკას, ნატიფ მოტორიკაში გადის ხელებიც და პირის მოძრაობაც.

მსხვილ მოტორიკაში შედის წონასწორობის, ხელებისა და ფეხების კოორდინირებული მუშაობა. როცა ბავშვი დარბის, ხტუნავს, ე.ი. მსხვილი მოტორიკა განვითარებულია.

თუ ეს უნარები არ არის მომწიფებული, ბავშვს შეიძლება, პრობლემები შეექმნას სწავლაში. ვიღაც იკითხავს- რატომ? რა შუაშია მოტორიკა სწავლასთან?-ეს ყველაფერი მანამდე ვითარდება , შეგრძნება და მოძრაობა, ამის შემდეგ, ვითრადება მეტყველება და უმაღლესი ფსიქიკური ფუნქციები, რომელიც მეტყველებით არის გაშუალებული.

მსხვილი მოტორიკის განვითარებაში შეფერხება ხელს უშლის ბავშვს , დაეუფლოს აკადემიურ ჩვევებს, რადგან მას უჭირს მოძრაობების კოორდინაცია და მთელი ყურადღება სხეულის მართვაზეა კონცენტრირებული, გართულებულია წერა—კითხვისა და ანგარიშის ათვისება. მთავარი ამ შემთხვევაში წონასწორობის, ხელების კოორდინირებული და შეთანხმებული მოძრაობის, ხელებისა და ფეხების კოორდინირებული მოძრაობის დაგეგმვის განვითარებაა.

**როგორ მიმდინარეობს ნატიფი მოტორიკის განვითარებაზე მუშაობა ?**

ნატიფი მოტორიკა მოიცავს თითების ნატიფი, მოქნილი და კოორდინირებული მოძრაობის, თვალისა და ხელის შეთანხმებული მოძრაობის უნარებს, ნატიფი მოტორიკის განვითარებაში შეფერხება ვლინდება ხატვის, კალიგრაფიის პრობლემებში, ბავშვს უჭირს ასოების გამოყვანა, სწორი ხაზის გავლება და ასოების ზომის დაცვა, მარტივი ობიექტებისა და ფიგურების გრაფიკული გამოსახვა. ამ შემთხვევაშიც სპეციალური სავარჯიშოებისა და სტრატეგიების გამოყენებაა საჭირო ბავშვის ნატიფი მოტორული უნარების გასავითარებლად.

**ქალბატონო თამარ, ყურადღების გარეშე შეუძლებელია ქცევისა და მოქმედების მიზანმიმართული განხორციელება, რაიმეს დასწავლა. როგორ მიმდინარეობს ყურადღების კონცენტრაციაზე მუშაობა?**

ეს პრობლემაც ხშირად აქვთ ბავშვებს, შშმ ბავშვის შემთხვევაში, ეს ხან არის მიზეზი, ხან

გაგრძელება →

შედეგი. დასწავლის უნარის დაქვეითების მქონე ბავშვისთვის, ეს შეიძლება იყოს შედეგი, როცა ის ვერ ახერხებს წაკითხულის გააზრებას, ყურადღების კონცენტრაცია უჭირს. ვისაც ყურადღების დეფიციტი აქვს, მას სხვა სტრატეგიები სჭირდება, დახმარება სპეციალური თამაშებით არის შესაძლებელი სკოლამდე, სკოლის ასაკში კი სპეიალური დავალებებით. . ვისაც პრობლემები აქვთ დასწავლის , მათ აქვთ მხედველობითი ყურადღების პრობლემებიც, რასაც ეხმარება კომპიუტერული თამაშები. თუ სმენითი ყურდაღების პრობლემებია, მას სპეციალური ვარჯიშები სჭირდება.

**ქალბატონო თამარ, საზოგადოებში დამკვიდრებულია სტიგმა, სტერეოტიპები შშმ პირეთან მიმართებაში, რა რეკომენდაციას მისცემდით საზოგადოებას?**

დასწავლის უნარის დაქვეითების ბაშვები ძალიან იჩაგრებიან, მათ აქვთ მიწებებული იარლიყი ,,ზარმაცი'' და ,,უპასუხისმგებლო'', ეს ძალიან ცუდად მოქმედებს ბავშვის განვითარებაზე, მასწავლებლები უნდა იყვნენ ძალიან ფრთხილად, იარლიყები ზოგჯერ სწორედ პედაგოგებისგან მოდის ხოლმე.

**ოჯახში მყოფი უფროსები ერთნაირად რეაგირებენ ბავშვის ქცევის შედეგებზე;**

**დაუშვებელია ბავშვის ქცევაზე ოჯახში მყოფ**



**უფროსებს განსხვავებული რეაქცია ჰქონდეთ;**

**მეტად მნიშვნელოვანია, ბავშვმა ისწავლოს საკუთარი ქცევის შედეგებზე პასუხისმგებლობის აღება. ასეთი მკაფიო უკუკავშირის გარეშე, ბავშვისთვის გაუგებარი იქნება, თუ რისთვის აჯილდოვებენ ან რისთვის სჯიან.**

**დასწავლის უნარის დაქვეითება არ უნდა იყოს იარლიყი და უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანი, რომელსაც ასეთი დიაგნოზი აქვს, უპირველეს ყოვლისა, ადამიანია ბევრი სხვა მახასიათებლით.**

## გამოჯანმრთელების მაგალითი

## როგორ განვიკურნოთ აზროვნების (შემეცნების) ძალით

*აზროვნება მართავს სხეულს*

**61 წლის ადამიანს სახელად ფრენკს დაუდგინეს ყელის კიბოს სასიკვდილო სახეობა. მისი წონა 44 კილოგრამამდე დაეცა. მას ძლივს შეეძლო სუნთქვა და ყლაპვა. სხივური თერაპიის ჩატარებითაც კი ექიმების გათვლებით სიცოცხლის ალბათობა 5% შეადგენდა, რადგან ასეთ მკურნალობას შეეძლო მხოლოდ გაერთულებინა მისი მდგომარეობა და უმნიშვნელოდ გაეზარდა გადარჩენის შანსი.**



ასე თუ ისე, ექიმებმა ხანგრძლივი ანალიზის შემდეგ გადაწყვიტეს მისთვის ჩაეტარებინათ სხივური თერაპიის კურსი. ფრენკის საბედნიეროდ, მის მკურნალობაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს იმ დროისათვის დალასის (ტეხასის შტატი) კიბოს საკონსულტაციო-საკვლევი ცენტრის დირექტორი ექიმი კარლ საიმონტონი.

საიმონტონმა შთააგონა ფრენკს, რომ მას შეუძლია თავად მოახდინოს ზემოქმედება საკუთარი დაავადევის მიმდინარეობაზე და ასწავლა მოდუნების და აზროვნების ტექნიკა.

**მკურნალობა წარმოდგენით (წარმოსახვით)**

ფრენკს უნდა წარმოედგინა . . .

- რომ მის მიერ მიღებული დასხივება შედგება ათასობით უწვრილესი ენერგეტიკული მუხტებისაგან, რომლებიც ბომბავენ მის უჯრედებს;

გაგრძელება →

· რომ მის დაავადებულ უჯრედებს, ნორმალურ უჯრედებთან შედარებით არ შეუძლიათ აღდგენა;
· რომ სისხლის წითელი ბურთულები შედიან და ავსებენ დასუსტებულ კიბოიან უჯრედებს;
· რომ კიბოიანი უჯრედები გამოიდევნებიან მისი სხეულიდან თირკმელებისა და ღვიძლის გავლით.

შედეგები იყო გამაოგნებელი და ბევრად აღემატებოდა იმ შედეგებს, რომელსაც პაციენტი იღებდა სხივური თერაპიის შედეგად. ფრენკს თითქმის არ ჰქონდა არავითარი გვერდითი მოვლენები - კანის და ლორწოვანი გარსის დაზიანება ჩვეულებრივი მოვლენაა სხივური თერაპიის დროს. ორი თვის მკურნალობის შედეგად მან არა მარტო აღიდგინა საკუთარი ძალები და წონა, არამედ გაქრა კიბოს ყველა ნიშანი.

ფრენკი ერთ-ერთია იმ ათასობით პაციენტთაგან, რომელიც განიკურნა კიბოს დაავადებისაგან საიმონტონის ცენტრში (www.simontoncenter.com).

ერთხელ მედიკოსთა ყრილობის დროს ექიმ საიმონტონს ჰკითხეს - რამდენიმე სიტყვით მოეთხრო საკუთარი მეთოდის შესახებ. მან აღნიშნა, რომ „ეს მეთოდი (შთაგონების მეთოდი) ყველაზე ძლიერი მეთოდია იმ მეთოდთა შორის, რომელიც მე შემითავაზებია ჩემი პაციენტებისათვის„. ხოლო მისმა მეუღლემ-სტეფანი საიმონტონმა მოყვა იმის შესახებ, თუ როგორ იყენებდნენ ისინი თავიანთ კლინიკაში ფსიქიკურ ტექნოლოგიას - „ ერთადერთ და შედარებით მნიშვნელოვან ინსტრუმენტს აზრობრივი წარმოსახვის ტექნიკა წარმოადგენს„. აღნიშნა მან.

## მინდა ერთ ოჯახზე მოგითხროთ

**სოფი თავბერიძე**



იცით დიდი ხანია ერთ ოჯახზე მინდა დავწერო რაღაც ....

აქედანვე ვგრძნობ, რომ პოსტი დიდი გამოვა...

არც ვიცი, როგორ დავიწყო, მაგრამ აუცილებლად უნდა დავწერო რაღაც, უკვე დიდი ხანია შევხედავ, მაგრამ მერე ისევ მერიდება, ისევ ვწყვეტ წერას და ისევ გადამაქვს ფიქრები სხვა რამისკენ..

ხო და ეხლა ძალა მოვიკრიბე... მოვიკრიბე იმიტომ, რომ უკვე ბოლო ზღვარზეა მათი ცხოვრების საკითხი...

მცხვენია, რომ ეს ქალი დღეს ამ ვითარებაშია

ამ პოსტის მიზნადაც, სწორედ საზოგადოების გამოხმაურებას და შველას ვხედავ ამ ოჯახის მიმართ... ლელა ჯანაშია !

ადამიანი რომელიც მთელი თავისი ცხოვრება სხვისი გახარებით, ბედნიერებით, წარმატებით, სიხარულით ცხოვრობს, უხარია და მის წარმოჩენისთვის ყველაფერს აკეთებს..

თვითონ გაჭირვებული ოჯახიდან თავის მცირე შემოსავალსაც შუაზე ყოფს და ეხმარება მათ ვისაც ის მცირედიც არ აქვს... თავის შვილისთვის და მისი მეგობრებისთვის დაუღალავად უკვე 18 წელია იბრძვის... 18 წელია იმიტომ, რომ მისი ნიკუშა შეზღუდული შესაძლებლობებით დაიბადა, ნელნელა მძიმე პრობლემას, უფრო და უფრო მძიმე პროგნოზები ემატებოდა, ბავშვის დამძიმებასთან ერთად ლელას გულში ყოველთვის უფრო მეტი სტიმული, ძალა და ენთუზიაზმი დგებოდა... იბრძოდა ყველაფრისთვის ! ყველასთვის და ყველგან გვერდში ედგა დიდსა თუ პატარას...

იცით ბედმა ესეც არ აკმარა და ცოტახანში ქმარიც გარდაეცვალა... დარჩა პატარა ნიკუშა და უამრავი პრობლემა თავზე...

ერთადერთი იმედი მისი დიდი შვილი იყო...

უხაროდა მისი თავი, რადგან იცოდა, რომ მის ნიკას ყავდა პატრონი და არ ეშინოდა არაფრის.

რამოდენიმე წელმა გაიარა მამის გარდაცვალებიდან მას შემდეგ და ძლივს შეგუებული ნიკა და ლელა, ახლა ძმამაც დატოვა. სამწუხარო ისაა, რომ ამ ერთადერთმა იმედმაც მიატოვა და თან დაუტოვა ბანკში ჩადებული ბინა, რომელიც ლელამ არ იცოდა და კიდევ ბევრი პრობლემა მის ირგვლივ

შეატოვა და გაიქცაააა თავის ცოლ-შვილთან ერთად .... დღემდე ყველას უკვირს რა დაემართა ამ ბიჭს, რომელიც გიჟდებოდა დედამისზე და მის საყვარელ ძმაზე.

გაგრძელება

პასუხი არავინ არ ვიცით...
მის პრობლემებს კიდე აღარ გავაგრძელებ, ისედაც მიჭირს ამ თემაზე ესე ლაპარაკი...
ეს მოკლე მისი ცხოვრებისეული ინფორმაციაც იმიტომ დავწერე, რომ ეხლა ჩვენი იმედი აქვს...
ბანკი სახლს ართმევს... ნიკას პენსია, რომელიც საარსებო მინიმუმიც არ არის, არ ყოფნის არაფერს... ბანკში ყოველ თვე 500 ლარი უწევს, რომ გადაიხადოს, გაყიდა ყველაფერი რაც შეიძლებოდა გაეყიდა....
ეხლა კი არაფერი აღარ დარჩა....
ეხლა ნიკაც, მარტოა ....
საჭმელიც კი აღარ აქვთ.. ის რაც უყვარს...
ეხლა ლელას ძალაც გამოელია...
თვალებზე ცრემლი შეაშრა ...
არადა ...
იყო დრო, როდესაც ამ ქალს სიცოცხლე უხაროდა.....
იყო დრო, როდესაც ყველას ეხმარებოდა...
ახლა მას ჭირდება ჩვენი დახმარება, თქვენი იმედი მაქვს მეგობრებო.. დავუბრუნოთ ამ ქალს ძველებური შემართება და ვაგრძნობინოთ, რომ მარტო არ არის.. !!!
რომ, მას ჩვენ ვყავართ !!!
რომ, ნიკას პატრონი ყავს !!!
და მას არ მივატოვებთ !!!

**საქართველოს ბანკი**
**GE50BG0000000607973600**
**მიმღები: ლელა ჯანაშია**

## ჩემი ნინიას წერილი სტუდენტებს

**ნუნუ კირვალიძე**



ყურადღება ბატონებო, ყურადღება! ძალიან გთხოვთ წაიკითხოთ და ოდნავ მაინც მიიტანოთ გულთან...

და აი დადგა წელი, როდესაც თქვენ უნივერსიტეტში გამოჩნდა ახალი მოვლენა, რომელსაც ჰქვია შეზღუდული შესაძლებლობა, და აი უმოქმედო პანდუსმა წელს შეიძინა მომხმარებელი, congratulations.. ჰო ახლა ვიცინი, მაგრამ მოდით სიმართლეს პირდაპირ გაჯახებთ და გეტყვით, რომ ძალიან ვნერვიულობ, სამწუხაროდ მე არ გამხარებია სტუდენტობა, გარშემომყოფებისგან განსხვავებით, რადგან ვიცოდი რომ სექტემბრამდე ვერ შევძლებდი ფეხზე დადგომას და ეტლით მომიწევდა მოსვლა, ვერ გავხდებოდი ისევ ისეთი, როგორიც ადრე ვიყავი და, როგორიც ახლა თქვენ ხართ.. მაგრამ მე მაინც ვეცადე არ დავმსგავსებულიყავი სხვა ეტლიანებს და ჩემი მიზნის მისაღწევად გამეკეთებინა ყველაფერი, ვაღიარებ, ძალიან მეშინია ეტლით გამოჩენა საზოგადოებაში (მე მხოლოდ 1 თვე ვემზადებოდი 5 საგანში და მაინც მოვახერხე სტუდენტი გავმხდარიყავი)... თქვენ წარმოდგენაც კი არ გაქვთ რამდენი ეტლით მოსარგებლე ადამიანია ჩვენს ქვეყანაში, ხალხი, რომელსაც სურთ იცხოვრონ ისე, როგორც თქვენ ცხოვრობთ და ამაში ხელს საზოგაოება უშლის.. ჩემთვის ყველაზე დიდი დაბრკოლება არის ხალხი, აი ის ბრბო, რომელიც გამუდმებით მიყურებს, აკვირდება ჩემს თითებს,

გაგრძელება →

რომლებსაც ვერ ვამოძრავებ, აშტერდება ფეხებს, რომელიც უმოქმედოდ დევს და თავის ფუნქციას ჯერჯერობით ვერ ასრულებს.. ძალიან მეშინია თქვენი, ვერ წარმოიდგენთ ისე ძალიან... არ მინდა დავინახო, როგორ ჩურჩულებთ ჩემზე, არ მინდა დავინახო ისეთი სახე რომელიც მეტყვის "შე საწყალო გვეცოდები", გელოტოფობია მაქვს, არ მინდა დამცინოთ ხელში პასტას თუ ვერ დავიჭერ, ის ფაქტი, რომ ჩემთან შეიძლება არავინ იმეგობროს ეს არ გამიკვირდება, გაგიგებთ, გეფიცებით გაგიგებთ, არ ვიფიქრებ, რომ ცუდები ხართ, ვიცი ალბათ არავის სჭირდება ეტლიანი მეგობარი... ;(ძალიან ბევრი ეტლიანი დგას ჩემს უკან, რომლებსაც მართლა უნდათ სწავლა, მაგრამ პირობების არქონის და ხალხისადმი შიშის გამო ისინი გამოკეტილები არიან სახლში და აკეთებენ ააარრაფფეერსს!!! და მერე ეწყებათ : დეპრესია, შიშები, პანიკა, ქვეყნიდან გაქცევა, ღმერთის გმობა, სიკვდილის წყურვილი, ოჯახის დანერვოზება, თვითმკვლელობა და ა.შ. ....) ჩემი ამ ნაბიჯით მინდა მათ გავაგებინო, რომ ცხოვრება გრძელდება..!! მინდა შემდეგ წელს ვთქვა, რომ "ამ უნივერსიტეტში სწავლობენ ნამდვილი ადამიანები"!!! გთხოვთ, მთელი გულით გთხოვთ ამომიდექით მხარში, არ მიყუროთ დამცინავი მზერით თუ ყავის ჭიქას ვერ დავიჭერ კარგად ხელში და გადავისხამ, უბრალოდ მოდით და დამეხმარეთ.. მეგობრებს ხელების და ფეხების მიხედვით ხომ არ ირჩევთ. ეს ხომ შეიძლება ყველას მოგსვლოდათ.. აივნიდან გადმოვარდი 25 მეტრიდან და მადლობა ღმერთს მე ცოცხალი ვარ, რა მაქვს საწუწუნო, ძალიან იღბლიანი ვარ, ზუსტად ვიცი, რომ გავივლი და გავხდები ისევ ისეთი, როგორიც ვიყავი. ძალიან ძალიან მთელი გულით გთხოვთ არ დამთრგუნოთ, არ მაგრძნობინოთ, რომ რამით განვსხვავდები თქვენგან, რომ ბევრ რაღაცაში შეზღუდული ვარ, რომ კიდურები არ მემორჩილება, გთხოვთ ამას ნუ მაგრძნობინებთ, ეს მე ისედაც ვიცი.. მეშინია პირველი დღის, მეშინია სახლში აცრემლებული არ დავბრუნდე და არ ვთქვა "აღარასდროს წავალ". გადამდები არაფერი მჭირს, მოდით, გამეცანით, ვიმეგობროთ, მეც თქვენნაირი ადამიანი ვარ, უბრალოდ ჩემი ნერვები დროებით ვერ ასრულებენ თავის ფუნქციას, მალე აღდგება და მეც ვიხტუნავებ. ფაკულტეტი ფსიქოლოგიური ავირჩიე, რადგან მინდა ძლიერი ფსიქიკა მქონდეს, რომ ჩემმა მდგომარეობამ არ მაჯობოს და არ გამაგიჟოს..

ძალიან დიდი მადლობა რომ ბოლომდე წაიკითხეთ, კარგი იქნება თუ გაიაზრებთ.. წარმატებულ პირველ დღეს გისურვებთ, დარწმუნებული ვარ მე ყველაზე ადვილად მიცნობთ.

P.s ბანკეტის კაბით არ მოვდივარ, შავი ეტლით ვიქნები :დ ხელს ვერ ჩამოგართმევთ, გაცოკებთ თუ გინდათ

## პარაფესტივალი ბათუმითდან დაიწყო



საქართველოს პარაოლიმპიური კომიტეტის ინიციატივითა და ორგანიზებით ბათუმში 19 აგვისტოს, ერთ დღიანი პარაფესტივალი მოეწყო. აჭარის დედაქალაქში ქართველი პარასპორტსმენები ერთმანეთს სამ სახეობაში ეჯიბრებოდნენ. ღონისძიება ანგისას სტადიონზე პარამშვილდოსანთა ტურნირით დაიწყო. აბსოლუტურ პირველობაში გამარჯვება 458 ქულით გოდერძი ზაქარაიამ მოიგო. მეორე ზებათუმელი ზვიად დუმბაძე გავიდა 391 ქულით, მესამე სედეგი კი ვანო წიკლაურმა აჩვენა 368 ქულით. 18 წლამდე პარამშვილდოსნებში კი საუკეთესო ნიკა ჭილაძე იყო. რომელმაც 30 მეტრიან დისტანციაზე 553 ქულა აიღო.

პარამშვილდოსნების შემდეგ პარამოფარიკავეებისა და პარაწოლჭიმელთა შეჯიბრება დაიწყო. ძალზე საინტერესო და დრამატული გამოდგა პარამოფარიკავეთა ტურნირი, სადაც სხვადასხვა კონფილქტურ რეგიონებში დაჭრილი საქართველოს შეიარაღებული ძალების ყოფილი მებრძოლებიც გამოდიოდნენ. 4 საათზე მეტ ხანს მიმდინარე ტურნირის ფინალში ერთმანეთს თემურ დადიანი და რამაზ აბაშიძე დაუპირისპირდნენ. დაძაბული საინტერესო გადამწყვეტი დუელი დადიანის გამარჯვებით 15-13 დასრულდა.

რაც შეეხება პარაწოლჭიმს, აქ სხვადასხვა წონის სპორტსმენებმა გამარჯვებული საკუთარი წონისა და ასაწევი მასის კოეფიციენტების შესაბამისად გამოავლინეს. საუკეთესო შედეგი დავით ქობალიამ აჩვენა. გამარჯვებული გამოვლინდა გოგონათა ტურნირზეც, სადაც ყველაზე კარგად დეა ერემაშვილმა იასპარეზა.

მთლიანად ბათუმის პარაფესტივალში სხვადასხვა რეგიონის ორმოცდაათამდე მონაწილე გამოვიდა. ღონისძიებას ქალაქის მერიის ხელმძღვანელები, აჭარის მთავრობის წევრები და ადგილობრივი სპორტის დეპარტამენტის უფროსები ესწრებოდნენ. საქართველოს პარაოლიმპიური კომიტეტი ასეთი სახის ღონისძიებებს, მომავალში საქართველოს სხვა დიდ ქალაქებშიც გეგმავს.

აღნიშნული ღონიძიების ორგანიზატორია საქართველოს ეროვნული პარაოლიმპიური კომიტეტი, რომელოც საერთაშორისო პარაოლიმპიური კომიტეტის პროგრამის ფარგლებიში ჩატარდა. ფინანსური მხარდამჭერია ბრიტიშ პეტროლიუმი“bp“, რომელიც საქართველოს პარაოლიმპიური კომიტეტის ოფიციალური პარტნიორია,

„ბათუმი - 2015“ ფესტივალის მიზანი იყო პარაოლიმპიური მოძრაობის პოპულარიზაცია.

## თვალსაზრისი

**იგორ დოლიძე**

***რეაბილიტოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი, ჟურნალ „იმედი +“-ს ექსპერტი.***

# სამკურნალო პედაგოგიკის როლი ჯანმართვის სანოგენეზურ რგოლში



სამედიცინო ვალეოლოგიის (სანოლოგიის), როგორც მთლიანად ზოგადი ვალეოლოგიის (მეცნიერებათა ინტეგრაცია ჯანმრთელობის შესახებ), თეორიულ-პრაქტიკული იდეოლოგიის მოწოდებაა დინამიკურად განავითაროს ჯანმართვის ორგანიზაციული სისტემა, აამაღლოს მისი როლი, გაზარდოს მოსახლეობის ინდივიდუალური ჯანმრთელობის შენარჩუნების ეფექტურობა. ყოველივე ამან უნდა დააჩქაროს მედიცინის პათოცენტრისტული პრინციპების რღვევის პროცესები და სახელმწიფოს მიერ ჯანსაღი თაობის აღზრდაზე ზრუნვა. ეს, თავის მხრივ, განაპირობებს ჯანმრთელი ორგანიზმის ოპტიმალური შეფასების კრიტერიუმების შემუშავებას, მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის კანონზომიერი დაცვის დამკვიდრებას. ყოველივე ამან ხელი უნდა შეუწყოს ჯანმრთელი ადამიანის ფსიქო-ფიზიკური მოდელის ჩამოყალიბებას, რომლის გეგმაზომიერი გადასინჯვა ყოველწლიურად უნდა ხდებოდეს, რადგან გარემოს, ტექნოცივილიზაციისა და სხვა ფაქტორების ზემოქმედებით პროგრესულად ირღვევა ადამიანის ორგანიზმის ჰომეოსტაზი. ჯანმრთელობის ნორმის დადგენას კი უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება დიფერენცირებულ დიაგნოსტიკაში, რადგან ფსიქოფიზიკური ნორმის პარამეტრებიდან უნდა ხდებოდეს პათოლოგიური გადახრების ხარისხობრივი თუ რაოდენობრივი კლინიკურ-ინსტრუმენტული მაჩვენებლების ათვლა, რაც ობიექტურად განაპირობებს სწორ დიაგნოსტიკასა და ეფექტურ მკურნალობას.

მრავალ ქვეყანას აქვს სანოლოგიის_ამ საექიმო დისციპლინის_პრაქტიკული გამოყენების 15-წლიანი სტაჟი და ამ ტერმინის დამკვიდრების 40 წლიანი გამოცდილება. სამწუხაროდ, ქართველი ექიმების უმეტესობას „სანოლოგიის“ შესახებ არაფერი სმენია. სწორედ მათ უნდა შევახსენო: სანოლოგ-სპეციალისტების გარეშე არ იქნებოდა არც ავიაცია, არც კოსმონავტიკა, წყალქვეშა ფლოტი, სპეცსამსახურები, არც დიდი სპორტი და სხვა მრავალი დარგობრივი მიმართულება. სანოლოგიას, როგორც საგანს, არ ასწავლიან სამედიცინო უმაღლეს სასწავლებლებში და ნაკლებად ითვალისწინებენ ამ დისციპლინის მნიშვნელობას მედიცინის ყველაზე სახელგანთქმული ექიმებიც კი. უნდა გავიაზროთ, რომ სანოლოგი არის სპეციალისტი, რომელიც დგას ჯანმრთელი ადამიანის ჰომეოსტაზის შენარჩუნებისსადარაჯოზე და კარგად ერკვევა ორგანიზმის დაცვით-კომპენსატორული მექანიზმების ამოქმედების სპეციფიკურობაზე; პათოლოგიური გადახრების შემთხვევაში კი _ დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის რეაბილიტაციურ ღონისძიებათა დიფერენცირებულ შერჩევაში. ადამიანის ასაკის მიუხედავად, ჯანმრთელობის შენარჩუნებაში დიდი როლი ეკისრება პედაგოგებს, რომელთა სანოლოგიურმა განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ჯანმრთელობის განმტკიცებასა და დაავადებათა პროფილაქტიკას. ეს მოთხოვნა აუცილებლად უნდა შესრულდეს, რადგან მსოფლიოს მოსახლეობაში მკვეთრად იზრდება იშვიათი და უცნაური დაავადებების რიცხვი, მათ შორის _ ქრონიკული პათოლოგიები, ინვალიდობა და სიკვდილიანობა.

თანამედროვე ჯანმართვის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საჭიროა ჯანმრთელი ადამიანის სოციალურ-საზოგადოებრივი ყოფის მიზანდასახული გამოკვლევა. ადამიანის ჯანმრთელობა უნდა გახდეს სამედიცინო შესწავლის უპირველესი ობიექტი და ექიმებმა, „დაავადების ისტორიის“

გაგრძელება →

გარდა, უნდა შეადგინონ მეცნიერულად დასაბუთებული ადამიანის „ჯანმრთელობის ისტორია“, რაც იძლევა იმის საშუალებას, რათა ცვალებად გარემო პირობებში დადგინდეს ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმის ოპტიმალური ფსიქო-ფიზიკური შესაძლებლობები. ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმის წონასწორობიდან გამოყვანა ძალზე ძნელია. მას საკმარისად აქვს დაცვით-კომპენსატორული მექანიზმების რეზერვები, თანაც ეს უკანასკნელი უსაზღვრო არ არის, რადგან ადრე თუ გვიან ის შეიძლება ამოიწუროს და გამოვლინდეს დაავადებისათვის დამახასიათებელი კლინიკური ნიშნები, რაც მოითხოვს გადაუდებელ მიზანდასახულ კორექცია-რეაბილიტაციას. აქედან გამომდინარე, ექიმმა უნდა იცოდეს ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმის ცხოველმოქმედების ძირითადი მექანიზმების ამოქმედების თავისებურებები, მისი შეთავსება კლინიკურ გამოცდილებასა და შესაბამის სანოლოგიურ კვლევით უნარ-ჩვევებთან, რაც მას სტუდენტობიდან უნდა ჰქონდეს ათვისებული. სანოგენეზური ცოდნის უკმარობა, სამწუხაროდ, ექიმთა პროფესიული მომზადების სერიოზულ ხარვეზად უნდა ჩაითვალოს.

ადამიანის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად არსებობს ორი სტრატეგიული მიდგომა: პირველია მკურნალობა (რაც დღეს პრიორიტეტულია) და მეორეა საღი ჯანმრთელობის შენარჩუნება _ დაცვა (რასაც ნაკლები ყურადღება ეთმობა). თუ სახელმწიფოებრივი სტრუქტურები (იგულისხმება განათლების, ჯანდაცვისა და სპორტის სისტემები) თავიანთი ორგანიზაციული ფუნქციების შესასრულებლად იხელმძღვანელებენ მხოლოდ პირველი სტრატეგიით, მაშინ მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცება და ხანგრძლივი შრომისუნარიანი სიცოცხლე მიუღწეველ ოცნებად დარჩება. აქედან გამომდინარე, ქვეყანაში უნდა დამკვიდრდეს ჯანსაღი ცხოვრების წესი, შეიქმნეს მიზანმიმართული სამკურნალო-სარეაბილიტაციო და გამაჯანსაღებელი ცენტრების ფართო ქსელი, ამაღლდეს ვალეოლოგიური ცოდნის იურიდიული უფლებამოსილება ჯანდაცვის, განათლების და სპორტის სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისას უნდა გვახსოვდეს: ორგანიზმში ჯანმრთელობის რეზერვები ამოუწურავი როდია. ის ადამიანთა უმეტესობას ბავშვობაში არასაკმარისად აქვს მობილიზებული, „თვლემს“ მომწიფების ასაკში, ხოლო ყოველივე ამის გამო ადვილად ქრება სიბერეში.

ჯანმრთელი და ავადმყოფი ადამიანის (ბავშვი იქნება თუ მოზრდილი) ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და აღდგენაში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება პედაგოგიური დიაგნოსტიკისა და რეაბილიტაციის მეთოდების ჩართვას, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს ბავშვებში. პედაგოგიური რეაბილიტაცია ძირითადად ეყრდნობა სამკურნალო პედაგოგიკის თეორიულ-პრაქტიკულ მიღწევებს, რომლებიც ხელს უწყობს ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად სასურველი თერაპიული შედეგის მიღებას.

პედაგოგიურ რეაბილიტაციაში დღემდე არ არსებობს პედაგოგის პრაქტიკული დახელოვნების სქემები, რაც, კლინიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ახლებურად და შემოქმედებითად განიხილავს პედაგოგის როლს ავადმყოფის გაჯანსაღებაში. ამასთან ერთად, სამკურნალო პედაგოგიკა მოითხოვს ბავშვის ზოგადი ანთროპოლოგიის ცოდნას, რაკილა ჩვილის გაჩენიდანვე იწყება დაავადებათა წარმოშობა, ფსიქიკური ანომალიები, ფიზიკური ნაკლოვანებები და ჰომეოსტაზიდან მრავალი ფუნქციურ-ორგანული გადახრა. ეს კი მოითხოვს პედაგოგის ზოგად ანთროპოლოგიურ განათლებას. მაგალითად, ბავშვთა ფსიქიატრიაში შეისწავლება მოზარდის ფსიქოფიზიკური გადახრები, „გონებრივი ჩამორჩენის“ კლინიკა. ბავშვის სულიერ ნაკლოვანებასთან ერთად არცთუ ისე იშვიათად აღინიშნება პედაგოგიური რეაბილიტაციის გარკვეული ხარვეზებიც. ეს უკანასკნელი გარკვეულწილად აფერხებს ეფექტური მკურნალობის პროცესს. სამკურნალო პედაგოგიკაში საქმე ეხება არა მარტო მოზარდის გონებრივ-ფიზიკური გადახრების კლინიკურ შეფასებას, არამედ ბავშვის ზოგადი ანთროპოლოგიის ღრმა ცოდნის საფუძველზე იმის მაქსიმალურ წვდომას, რომ არსებული ფსიქოფიზიკური გადახრების მექანიზმები იოლად დავადგინოთ. პედაგოგი უნდა ერკვეოდეს, თუ როგორ სვამს დიაგნოზს ექიმი და ფსიქოლოგი, როგორ ვლინდება თეორიულ-პრაქტიკული ხასიათის განსხვავებები სამედიცინო, ფსიქოლოგიურ და პედაგოგიურ დიაგნოსტირებათა შორის. ეს კი მოითხოვს სისტემური მიდგომით მიზანდასახული ცოდნის დაგროვებას, დიფერენცირებული ანალიზის ჩატარებას, პედაგოგიური დიაგნოსტიკისა და რეაბილიტაციის სრულყოფილი კონცეფციის შექმნას. იმასთან დაკავშირებით, რომ პედაგოგიკა არის მეცნიერება ადამიანის აღზრდისა და განათლების შესახებ, ქრონიკულად დაავადებული ავადმყოფები მიზანმიმართულად საჭიროებენ პედაგოგიურ აღზრდას, რათა სწორად შეაფასონ თავიანთი დამოკიდებულება შეძენილი დაავადებისა და დაკარგული შრომისუნარიანობის აღდგენის მიმართ, გონივრულად შეეგუონ ახლად შექმნილ ყოფით სიტუაციას, საავადმყოფოს პირობებში ხანგრძლივ წოლით რეჟიმს და ა.შ. მაგალითად, პედაგოგიური დახმარება ესაჭიროება არა მარტო იმ ავადმყოფს, რომელმაც ამპუტაციის შედეგად ხელი ან ფეხი დაკარგა, არამედ იმ ორსულ ქალებსაც, რომლებსაც მშობიარობისათვის ამზადებენ და ასწავლიან მშობიარობის პროცესში სწორად

გაგრძელება →

მოქცევას, ტკივილების წარმოშობისას გაუტკივარების მიღწევის ხერხებს და ა.შ.

სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში ექიმი და საშუალო მედპერსონალი ავადმყოფებთან ურთიერთობისას (ინსტრუმენტულ-ლაბორატორიული გამოკვლევები, სამკურნალო პროცედურები და ა.შ.) ყოველდღიურად წყვეტენ მედიკო-ბიოლოგიური ხასიათის ამოცანებს. ავადმყოფზე პედაგოგიური ზემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი კი მოდის ფსიქოთერაპიაზე (ფსიქიკური მეთოდებით მკურნალობა) და მისი სწორი გამოყენება ამაღლებს დაავადებათა აღმოფხვრის ეფექტურობას. ამ უკანასკნელის ზემოქმედების ხარისხი იმდენად იზრდება, რამდენადაც ავადმყოფი გონებრივად არის განვითარებული და თვითაღზრდის განსაკუთრებული თვისებები მოსდგამს. პედაგოგიურ რეაბილიტაციაში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს დოზირებული სამკურნალო ტანვარჯიში, რომელსაც ფსიქო-ემოციური და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. პედაგოგიური რეაბილიტაცია კინეზოთერაპიულ პროცედურებთან ერთად ნაწილობრივ ან სრულად აღუდგენს ავადმყოფს დაკარგულ მოძრაობას ან გამოუმუშავებს სრულიად ახალ მოძრაობათა ჩვევებს, იგი შეიძენს ცხოვრებისათვის ისეთ აუცილებელ ფიზიკურ თვისებებს, როგორიცაა ძალა, სისწრაფე, გამძლეობა და კოორდინაცია. ფიზიკური ვარჯიშების დროს ავადმყოფი აითვისებს გამბედაობის, გადაწყვეტილების სწრაფად მიღების უნარ-ჩვევებს და ა.შ. გამომდინარე აქედან, კინეზოთერაპიულ მეთოდოლოგიურ მიდგომას აქვს სამკურნალო-აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ამ დროს მკურნალი ექიმი და პედაგოგი ერთობლივად ახორციელებენ ავადმყოფის ფსიქოლოგიურ მომზადებას და უნერგავენ მას გაჯანსაღების რწმენას

ავადმყოფის ზოგად რეაბილიტაციაში მონაწილეობას იღებს სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. ასე, მაგალითად, მკურნალი ექიმი ადგენს კლინიკურ დიაგნოზს, ფსიქოლოგი-მოზარდის ინტელექტს, პედაგოგი-სასწავლო პროგრამის ათვისების ხარისხს, სოციოლოგი-ბავშვზე ოჯახური გარემოს ზემოქმედებას. ყოველივე ეს საბოლოოდ იძლევა შეჯერებულ ერთობლივ ინფორმაციას სრულყოფილი პედაგოგიური დიაგნოზის დასასმელად, თუმცა ამას გადამწყვეტი იურიდიული ძალა არ მოეპოვება. ამასთან ერთად, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სადღეისოდ პედაგოგიკა, ისე როგორც ფსიქოლოგია, როდი წარმოადგენს დასრულებულ სამეცნიერო დარგს. არც მედიცინაა საბოლოო სახით წარმოდგენილი. მიუხედავად მათი არასრულყოფილებისა, დაავადების შემთხვევაში ავადმყოფს ვგზავნით ექიმთან და არა პედაგოგთან ან ფსიქოლოგთან. ამას ჩვენ შეგნებულად ვაკეთებთ და უმჯობესად მივიჩნევთ, ვიხელმძღვანელოთ პრაქტიკული გამოცდილებითა და ჯერ კიდევ დაუსრულებელ მეცნიერებათა დებულებებით, ვიდრე პირადი, არასრულყოფილი ცოდნითა და დაკვირვებებით. სხვადასხვა პროფესიულ მიმართულებაში სანოლოგიური კვლევის ინტეგრაცია საშუალებას მოგვცემს, სიღრმისეულად განვავითაროთ პედაგოგიური აზროვნება ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებაში.

ამრიგად, სამკურნალო პედაგოგიკა (დიაგნოსტიკა და რეაბილიტაცია) სანოგენეზურ რგოლში ძირითადად დაფუძნებულია ფსიქოთერაპიულ ზემოქმედებაზე, რომელიც გულისხმობს ადამიანის პიროვნული ქცევის ყველა ელემენტის (ინტელექტუალური, ფიზიკური, შრომითი, სოციალური) გააქტიურებას ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვის ფონზე. ეს კი ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის განმტკიცების წინაპირობაა. ის სისტემური მიდგომით ადგენს ჯანმრთელობაზე მოქმედი რისკ-ფაქტორების თავიდან აცილების გზებს.

## მეცნიერები მშობლებს შვილებზე ზედმეტ ზრუნვას არ ურჩევენ



მეცნიერები შვილებზე ზედმეტი ზრუნვის უარყოფით შედეგებზე საუბრობენ და აცხადებენ, რომ მათი პრობლემებისგან მუდმივი დაცვა მშობლებს შესაძლოა, ძვირად დაუჯდეთ.

„ბუნებრივია, რომ მშობლებს შვილის უსაფრთხოდ და დაცულად გაზრდა სურთ, მაგრამ ფსიქოლოგები ამ საქმეშიც ზომიერებისკენ მოგვიწოდებენ, ვინაიდან შვილებზე ზედმეტად ზრუნვა და მათი პრობლემებისგან მუდმივი დაცვა შეიძლება ძვირი დაგვიჯდეს. სამეცნიერო კვლევებით დასტურდება, რომ ასეთი მშობლების გაზრდილ შვილებს, რომელთაც სპეციალისტები ვერტმფრენის ტიპის აღმზრდელებს უწოდებენ, მეტი მიდრეკილება აქვთ ალკოჰოლიზმისკენ, თამბაქოს უფრო ეწევიან, ნარკოტიკსაც

გაგრძელება

მეტად ეტანებიან და ზოგადად, უფრო რისკიანი ქცევისკენ არიან მიდრეკილები. სამწუხაროდ, ამ მდგომარეობას ვერც მშობლის სიყვარული და ვერც ერთგული მხარდაჭერა ვერ აკომპენსირებს„, - ნათქვამია ბრიგამ იანგის უნივერსიტეტის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში, რომელსაც „ამერიკის ხმა„ აქვეყნებს.

ცნობისათვის, ვერტმფრენის ტიპის აღმზრდელებად ისეთ მშობლებს მიიჩნევენ, ვინც ზედმეტად არის ჩართული შვილების ცხოვრებაში, მთავარ ცხოვრებისეულ, თუ კარიერულ გადაწყვეტილებებს მათ მაგიერ იღებენ, მათ პრობლემებს თვითონ წყვეტენ, მათ კონფლიქტებში ერთვებიან და საბოლოო ჯამში, შვილის ფსიქოლოგიურ სიჯანსაღეს უქმნიან საფრთხეს.

შედეგები განსაკუთრებით თინეიჯერობის ასაკში იჩენს თავს, როცა მოზარდებში ხშირდება დეპრესიის და ზოგჯერ თვითმკვლელობის შემთხვევებიც კი.

„ვფიქრობდით, რომ ზოგიერთი სიტუაციის გათვალისწინებით, რაიმე დადებითს მაინც აღმოვაჩენდით ვერტმფრენის ტიპის აღზრდაში, მაგრამ ამგვარს ვერაფერს მივაგენით„,-განუცხადა კვლევის ავტორმა პროფესორმა ლარი ნელსონმა გამოცემა „საიენს დეილის„.

მისი თქმით, „ჩარევა და შვილისთვის იმის გაკეთება, რაც მას განვითარების მოცემულ დონეზე უკვე შეუძლია„, მხოლოდ უარყოფითი შედეგების მომტანია.

ფსიქოლოგები გვირჩევენ ბავშვებს რაც შეიძლება ხშირად და ადრეული ასაკიდან ვუთხრათ, რომ მათ შეუძლიათ ამა თუ იმ სირთულის ამოცანის თავად შესრულება და პრობლემებისთვის თავის გართმევა. ასევე უნდა ვურჩიოთ, რომ თვითონ იპოვოს გამოსავალი მარტივ, თუ კომპლექსურ სიტუაციებში და ურთიერთობებში.

# რიტმიკა

მუსიკის გამოყენებას ადაპტური ფიზიკური აღზრდის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება. იგი ამაღლებს ემოციურობას, ყურადღებას, აღქმას და მეხსიერებას, ანვითარებს შრომისუნარიანობას. მუსიკის თანხლებით მეცადინეობა აყალიბებს დროის, სივრცის და დინამიკური პარამეტრების დიფერენცირებას. რიტმის გრძნობა წარმოადგენს ფიზიკური ვარჯიშების და სხვა მოძრაობითი ხარისხის განვითარების ბაზას. ამ დარგის მკვლევარები (ლ. პ. ვოსკრესენსკაია, 1969; დ. დ. დონსკოი, 1971; დ. პ. იონოვი, გ. ი. ჩერნიშევი, 1971) მიუთითებენ, რომ მოძრაობითი მოქმედების ათვისებაში. რიტმს გააჩნია პირველხარისხოვანი მნიშვნელობა რიტმი საფუძვლად უდევს ცალკეულ ლოკომოციას. მოძრაობის სწორ რიტმში შესრულება ადვილად ავტომატიზირდება, რომლის შემწეობით ხდება ენერგიის ხარჯვის და კუნთური ძალის ეკონომია. გავლენას ახდენს რა მოტორიკაზე, რიტმიკას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ლოგოპედური მუშაობის საერთო სისტემაში. მუსიკალური თანხლება მასწავლებელს უმსუბუქებს შრომას, ანთავისუფლებს მას აუცილებელი თვლისაგან. მოსწავლეები უმორჩილებენ თავიანთ მოქმედებებს მუსიკის ხასიათს.

გონებრივი ჩამორჩენილობის დროს რიტმიკის ათვისებას ახასიათებს მნიშვნელოვანი სიძნელეები. ამიტომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს რიტმის ათვისების პროცესს.

რიტმიკაში მეცადინეობის მიზნებია:

- ვასწავლოთ მოსმენა და მუსიკის სწორად გაგება;
- ვასწავლოთ მოძრაობის შესრულება მუსიკის შესაბამისად;
- აღვზარდოთ მუსიკალურ-მოძრაობითი ჩვევების კომპლექსი, რომელიც წარმოადგენს ადაპტიური ფიზიკური აღზრდის შემდგომი უზრუნველყოფის ბაზას.

**დასახული მიზნების განხორციელება ხდება შემდეგი მეთოდების გამოყენებით:**

- ვასწავლოთ მეცადინეობის დროს მუსიკალურ-მოძრაობითი ამოცანის ზუსტი, გასაგები ფორმირება;
- ხატოვანი აზროვნება;
- ინფორმაციის ყურადღებით მოსმენა, აღთქმა და მოქმედების ანალიზი.

იმისათვის, რომ მასწავლებელმა მუსიკის თანხლებით ჩაატაროს გაკვეთილი, უნდა შეეძლოს მუსიკის ისეთი პარამეტრების გარჩევა, როგორიცაა ხმის სიმაღლე, ხანგრძლივობა, ტემბრი. შეეძლოს ხმაზე განსაზღვროს მუსიკალური პერიოდების და ფრაზების დაწყება და დამთავრება, მუსიკის შესაბამისად ვარჯიშების შედგენა, ბრძანების გაცემა.

მასწავლებლის ამოცანას წარმოადგენს:

- მოსწავლეთათვის ნათელი, მისაწვდომი ამოცანის ფორმულირება;
- ახალი მოძრაობის ძველ (ადრე ნასწავლ) მოძრაობასთან კავშირის გამოკვეთა;
- მოძრაობის მუსიკასთან ურთიერთკავშირის შექმნა;
- ახალი მოძრაობის ახსნა შესაბამისი მუსიკალური თანხლებით;

რიტმის გრძნობის განსავითარებელი საშუალებებია:

გაგრძელება →

- მწყობრად სვლა შერჩეულ მუსიკასთან შესაბამისი სიმღერით;
- სირბილი იგივე მუსიკალური ზომით. ოთხი კიდურით სიარული;
- ცეკვები, სიმღერები;
- წინხტომები, ხტომები (ცალ და ორ ფეხზე, ადგილზე, უკან, გვერდზე) იგივე ზომით;
- ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშები.
- გონებრივი ჩამორჩენის ადამიანებისათვის რიტმიკა განპირობებულია ფიზიკური და ფსიქიკური კორექციის განვითარების განსახორციელებლად.

მოძრაობა მუსიკის თანხლებით არამარტო ზემოქმედებს კორექციულ და ფიზიკურ განვითარებაზე, არამედ ქმნის კეთილსასურველ გარემოს ისეთი ფსიქიკური ფუნქციებისათვის, როგორიცაა აზროვნება, მეხსიერება, ყურადღება, აღქმა. დინამიურობის მრავალფეროვნება, მუსიკის მაორგანიზებელი დასაწყისი, მისი რიტმული სტრუქტურა, ტემპის მრავალგვარი ცვლილება იწვევს ყურადღების მუდმივ კონცენტრაციას, ვარჯიშის შესრულების პირობებს და მახსოვრობას, მუსიკალური ფრაზების შეცვლაზე სწრაფ რეაქციას.

რიტმიკის სწავლების პროცესში ეფექტურად მიმდინარეობს პიროვნების დადებითი თვისებების აღზრდა. იძენენ ორგანიზებულ, ერთობლივი მოქმედების თვისებებს, დისციპლინას. სწავლობენ ერთმანეთის მოკრძალებით და პატივისცემით მოპყრობას.

სასწავლო პროგრამა იგება ასაკობრივი და ფსიქოფიზიკური განვითარების თავისებურებების, მათი ცოდნის და უნარის გათვალისწინებით. სასწავლო მასალა ნაწილდება მისი მოცულობის გაზრდის და გართულების ხარისხის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცოდნის დიაპაზონის და უნარის ზრდას.

რიტმიკაში პროგრამა შედგება ოთხი ნაწილისაგან:

- სივრცეში ორიენტირების ვარჯიშები;
- რიტმულ-ტანვარჯიშული ვარჯიშები;
- თამაშები მუსიკის თანხლებით;
- ცეკვითი ვარჯიშები.

ყოველ განაყოფში ვარჯიშები ყალიბდება სისტემატურად, განისაზღვრება მათი მოცულობა და მითითებული იქნება ჩვევები და თვისებები, რომლებიც თანმიმდევრულად შეისწავლება რიტმული მოქმედების პროცესში. ყოველ გაკვეთილზე მუშაობა ხორციელდება ზემოთ მითითებული ოთხივე მიმართულებით. ჩამოყალიბებული თანმიმდევრობის შესაბამისად მასწავლებელს შეუძლია სასწავლო მასალის შინაარსიდან გამომდინარე ყოველ განაყოფში გამოყოს გარკვეული დრო, რათა გაკვეთილის დასაწყისში და დასასრულს ჩაატაროს დამამშვიდებელი, დამაწყნარებელი და დაძაბულობის მოსახსნელი ვარჯიშები.

**ჩვენი განმარტებითი ლექსიკონი**

# სტერეოტიპული ქცევა

**სტერეოტიპული ქცევა** _ არის განმეორებითი მოძრაობა, მდგომარეობა ან სიტყვების გამოცემა, რომელიც დამახასიათებელია გონებრივი ჩამორჩენილობის, აუტიზმის და სხვა ზოგიერთი დარღვევისათვის. სტერეოტიპული ქცევა შეიძლება იყოს ისეთი მარტივი მოძრაობა, როგორიცაა სხეულის რწევა-ქანაობა ან ისეთი კომპლექსური, როგორიცაა საკუთარი თავის მოფერება ფეხების გადაჯვარედინება და/ან ადგილზე სვლა, მოძრაობა.

**სწავლის მოტივაცია** _ ყველა აქტივობას მოტივაცია უდევს საფუძვლად. მოტივაცია არის ქცევის განხორციელების ფსიქოლოგიური საფუძველი. რაც უფრო მეტად მოტივირებულნი არიან მოსწავლეები, მით მეტია სწავლის ხარისხი, რაც ნაკლებად არიან – შესაბამისად, სწავლის ხარისხიც იკლებს. არსებობს შინაგანი და გარეგანი მოტივაცია. მოსწავლის სასწავლო აქტივობები შეიძლება განპირობებული იყოს მისი შინაგანი და გარეგანი მოტივაციით. საინტერესო აქტივობები ეფუძნება მოსწავლის შინაგან მოტივაციას. შინაგანად მოტივირებული მოსწავლისათვის უფორ მნიშვნელოვანია თავად აქტივობა, ვიდრე მოსალოდნელი ჯილდო.

გარეგან მოტივაციას კი მაშინ აქვს ადგილი, როცა მოსწავლე შესრულებული სასწავლო აქტივობისათვის მოელის წახალისებას, ჯილდოს (კარგი ქულა, შექება, კლასში გარკვეული სტატუსის მოპოვება და ა.შ.) ამ დროს განხორციელებული სასწავლო აქტივობა შესაძლებელია მოსწავლისათვის არ იყოს საინტერესო.

ზოგიერთი მოსწავლე დიდი ენთუზიაზმით ეკიდება სწავლას, რადგან მას აინტერესებს საგანი და სწავლის პროცესი. მაგრამ არიან ისეთი მოსწავლეებიც, რომლებიც მასწავლებლის მხარდაჭერის გარეშე სწავლისადმი დიდ ინტერესს არ იჩენენ. მათ მუდმივად სჭირდებათ შექება, სტიმული და თანადგომა.

ამრიგად მოსწავლის სასწავლო აქტივობას განაპირობებს როგორც გარეგანი, ისე მისი შინაგანი მოტივაცია. ამიტომ პედაგოგმა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის მოტივაცია, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის წარმატებებს.

**სწავლების მეთოდები** _ სწავლების მეთოდი არის მასალის მიწოდების სისტემური გეგმა,

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ →

გზა, ტექნიკა. მასწავლებელი იყენებს სწავლების სხვადასხვა მეთოდებს, რათა მოახდინოს სასწავლო პროცესის წარმართვა. ძირითადად არსებობს შემდეგი სახის მეთოდები: დიდაქტიკური მეთოდი, სოკრატული მეთოდი, კვებით სწავლება, სოციალური სწავლება და ა.შ.

**სწავლების ხერხები** _ სწავლების პროცესში გამოიყენებენ სწავლების სხვადასხვა ხერხს, რომელიც შეესატყვისება სწავლების სხვადასხვა მეთოდების ძირითად პრინციპებს. სწავლების ხერხებია: სიმულაცია-როლური თამაში (სწავლების პრაქტიკული მეთოდის გამოყენების დროს), გონებრივი იერიში (ძირითადად, სწავლების სოკრატული მეთოდის გამოყენების დროს), ვიზუალიზაცია – თვალსაჩინოების გამოყენება (სწავლების დიდაქტიკური მეთოდის გამოყენების დროს), ინსტრუქციის ნაბიჯ-ნაბიჯ მიწოდება (სწავლების პრაქტიკული მეთოდის გამოყენების დროს), არაორდინალური კავშირების გაკეთება (სწავლების სოკრატული მეთოდის გამოყენების დროს), რეზიუმირება _ შეჯამება (სწავლების დიდაქტიკური მეთოდის გამოყენების დროს) და სხვა.

**სწავლის უნარის დარღვევა/დაქვეითება** _ ინფორმაციის შენახვის, გადამუშავებისა და ახალი ინფორმაციის პროდუცირების სხვადასხვა სახისა თუ ხარისხის დაბრკოლებები. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მნიშვნელოვან ნაწილს სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეები შეადგენენ. ასეთ მოსწავლეებს სირთულეები აქვთ როგორც აკადემიურ მოსწრებაში, ასევე თანატოლებთან ურთიერთობაში და საკლასო ოთახში მოქცევის წესების ათვისებაში.

**ტოლერანტობა** _ (ინგლ.: თოლერანცე) — თანამედროვე ტერმინი, რომელიც სოციალურ, კულტურულ და რელიგიურ კონტექსტში დებატებისას გამოიყენება, როგორც დისკრიმინაციის ერთგვარი ანტითეზისი. ტერმინს ხშირად უცხო რელიგიურ მრწამსთან მიმართებაში იყენებენ, ისევე როგორც ზოგიერთ უფრო ვიწრო კატეგორიებზე, როგორიცაა დისკრიმინაცია არატრადიციული სექსუალური და სოციალური ორიენტაციისადმი.

**ქალა-ტვინის ტრავმა** _ არის გარე ფიზიკური ძალით გამოწვეული და ტვინის შეძენილი დაზიანება, რაც არახელსაყრელ გავლენას ახდენს პიროვნების შემეცნებით, კომუნიკაციურ, თუ ემოციურ-მოტივაციურ სფეროზე. აქ იგულისხმება ქალას ღია ან დახურული დაზიანების შედეგად გამოწვეულ იმ ერთი ან რამდენიმე სფეროს გაუარესება, როგორიცაა, მეტყველება, მეხსიერება, ყურადღება, აბსტრაქტული აზროვნება, შეგრძნების, აღქმის და მოძრაობის უნარები, და ფსიქო-სოციალური ქცევა.

**ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი** _ წარმოადგენს ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციონირების დარღვევას, რომელიც მოიცავს: ყურადღების კონცენტრაციის დეფიციტს (უყურადღებობა, გონებაგაფანტულობა), იმპულსურობას (უნებლიე ქცევის შეჩერებისა და გაკონტროლების სირთულე), ჰიპერაქტივობას (ფიზიკური მოუსვენრობა, მოძრაობათა სიჭარბე), რასა ხშირად ერთვის ემციური მოუმწიფებლობა, აგრესიულობა და დაბალი აკადემიური მოსწრება.

**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები (შშმ)** _ ,,შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი'' არის ბავშვი, რომლის მდგომარეობა შეზღუდული შესაძლებლობის კატეგორიის დიაგნოსტიკური კრიტერიუმების მიხედვითაა განსაზღვრული. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს აღენიშნება განვითარების დარღვევის ერთი ან რადენიმე სახის შეფერხება, ასეთ მოსწავლეს განსაკუთრებული საგანმანათლებლო მოთხოვნები და მოთხოვნილებები აქვს. სიტყვა „ინვალიდი“ 1995 წლიდან, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, ამოღებულია ხმარებიდან და ჩანაცვლებულია ტერმინით „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“.

**ჰიდროცეფალია** _ ანუ წყალმანკი ისეთი პათოლოგიური მდგომარეობაა, როდესაც ქალაში მომატებულია თავ-ზურგ-ტვინის სითხის რაოდენობა. ცერებრული დამბლა _ იმ სინდრომთა ჯგუფია, რომლებიც აღმოცენდება ბავშვის თავის ტვინის პერინატალური (მშობიარობის პერიოდში) და პოსტნატალური (დაბადებიდან პირველ თვეებში) დაზიანების შედეგად. იგი ვლინდება ბავშვის მოტორული განვითარების _ კუნთთა ტონუსისა და მოძრაობის კოორდინაციის დარღვევით.

**რედაქციისგან**

ძვირფასო მკითხველო, ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში სათაურით „ბგერებით დანახული სამყარო„ თამარ შალვაშვილის ნაცვლად, რამდენიმე ეპიზოდში ნახსენებია მარიამ შალვაშვილი. ავტორი სრულად იღებს პასუხისმგებლობას გაპარულ უზუსტობაზე და რედაქციასთან ერთად ბოდიშს გიხდით ამ მექანიკური შეცდომის გამო.

## პოეზია



## რევაზ ტატალაშვილი

### შეწყალების სონეტი

უფალო, შენგან ბოძებული წლები ზღაპრული
ფეტვის მარცვლებად გავატანე ქართა ქარებას;
არც შური მკლავდა მოყვასისა, არც ანგარება,
ლექსით, ქალით და სამშობლოით ვიყავ ზაფრული.
ოღონდ ეგ არის, შენს სიდიდეს ვერ მივეახლე,
შვიდ საიდუმლოს ვერ ვუშალე სულში კარვები,
ენა თუ ხშირად ადიდებდა წმინდა შენს სახელს,
მაკვარანცხობდა ფიქრი ჩემი გაუთავებლივ.
იყო ბრძოლა და უსასრულო გულმდულარება,
წამიდან წამზე იცვლებოდა სულის ხარება;
ყურს რომ ატკბობდა ფსალმუნების თრთოლვა ციური,
აღმიტაცებდნენ სიამენი ამქვეყნიური;
ლოცვის მაგივრად ლექსი გკადრე, მადლის მთხოვნელი,
ეულს და უგვანს მომიტევე ცოდვა ყოველი!

****

როგორ გამტანჯა სათქმელის ვერთქმამ,
როგორ დაღალა სული რუტინამ,
როგორ დამძიმდა ტკივილის თექა, -
ამას ვჩიოდი, მახსოვს, უწინაც.
ვაგლახ, ჩივილი დარჩა ჩივილად-
ვერ ვაჯავარდნე სიტყვა ფხიანი,
არ დაიხია უკან ტკივილმა,
არც სამოთხე ჩანს უცხო ხილნარით,
არც ჯოჯოხეთის შავი უფსკრული
მოჩანს ცეცხლებით, საცეცხლურებით,
ვდგავარ და მაინც ლოცვებს ვჩურჩულებ,
ცის ლოდინით და ცისკენ ყურებით.
დაპატარავდა აქლემის კუზი,
სავსე იმედით და იგავებით,
უფრო ფრთხილი ვარ და უფრო სუსტი,
ვებრძვი თავისთავს და ვედავები.
უნდა გავუძლო, უნდა ვუთმინო
ტკივილს, ფორიაქს, ბორგვას და ფეთქვას,
თუმცა დაღალა სული რუტინამ
და გამაწამა სათქმელის ვერთქმამ.

### იმედის ჭრაქი

უმეტეს კაცთა გულ-გვამს შიგნიდან
არ ულბობს ცრემლი და ტკივილები.
მე ხვალინდელი დღის მეშინია,
ერთურთისადმი გაგულგრილების.
მოწაფე ჩანთით ატარებს დანას,
ათორმეტის თუ ათხუთმეტისა,
მრავალნი, თურმე, წინაშე დგანან
გაცისფრების და გამუქებისა.
რაღად გვჭირდება გამოგონება
`ბაევიკების~, საშინელების,
ოდეს `ნიუსი~ მოაქვს კონებად:
დისთვის აღძრულად ძმათა ხელები,
მშობელმა შვილის დაღვარა სისხლი,
შვილმა მშობელზე ხელი ასწია
ცოტას აშინებს განგების რისხვა,
თუმცა ტაძრები მრევლით სავსეა;
ტაძრებს მიღმა კი მაღალ საფიხვნოს
ტომის ბელადი ამშვენებს მორჭმით:
_ ხომ კარგად ხართო, _ დედას გვაფიცებს, -
მისი პრიზმიდან კოსმოსიც მოჩანს.
ამ ცოდვების და ცინიზმის კოლაჟს
ვარჩევთ შოუებს, ვარჩევთ სერიალს.
იმედის ჭრაქი მიბჟუტვით ბოლავს,
მგონია, ნავთიც გამოგველია.

## შშმ ბავშვების მშობლების საყურადღებოდ!

## სარეაბილიტაციო ცენტრი „მზის სივრცე„

არასამთავრობო ორგანიზაცია „მზის შვილები“ თბილისში, (მიცკევიჩის 27 ბ) ხსნის სარეაბილიტაციო ცენტრს „მზის სივრცე“. ცენტრი ფუნქციონირებას დაიწყებს 2015 წლის 15 სექტემბერს. ორგანიზაციამ პოლონელი სპეციალისტების რეკომენდაციითა და დახმარებით შეიმუშავა სარეაბილიტაციო ცენტრის ევროპულ სტანდარტებზე მორგებული სამუშაო მეთოდოლოგია. გთხოვთ, გაეცნოთ სერვისებს, რომელსაც სარეაბილიტაციო ცენტრი გთავაზობთ: „ადრეული განვითარების ქვეპროგრამა, დღის ცენტრების ქვეპროგრამა, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამა:

მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შშმ ბავშვების პირველადი შეფასება

განვითარების ინდივიდუალური გეგმის შემუშავე-ბა
თვეში ორჯერ განმეორებითი შეფასება
გუნდი შედგება სპეციალისტებისგან:
ექიმი-რეაბილიტოლოგი
ფსიქოლოგ-დეფექტოლოგი
ოკუპაციური თერაპევტი
მეტყველების თერაპევტი
ფიზიოთერაპევტი
სპეციალური პედაგოგი
ABA თერაპევტი

(15 სექტემბრიდან 25 დეკემბრამდე ცენტრში ქართველ სპეციალისტებთან ერთად იმუშავებენ პოლონეთიდან მოწვეული სპეციალისტებისგუნდი(სენსორულიინტეგრაციისსპეციალისტი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი, ოკუპაციური თერაპევტი, ფიზიოთერაპევტი, ABA თერაპევტი))
რეაბილიტაციის სპეციალური პროგრამები

ბოგდანოვიჩის მეთოდი „კარგი დასაწყისი“ :

ამ მეთოდის ძირითადი მიზანია ბავშვის ფსიქო-მოტორული უნარების განვითარება სიმღერის, სპეციალურად ორგანიზებული თამაშებისა და გეომეტრიული ფიგურების გამოყენებით. ამ მეთოდის საშუალებით ვითარდება კითხვისა და წერის შესწავლისათვის საჭირო ფუნქციები (შემეცნებითი, ვიზუალურ-სივრცითი, აუდიო- მეტყველებითი) და ხდება მათი ერთმანეთთან „თანამშრომლობა“ - (პერცეპცია-მოტორიკის ინტეგრაცია)

• არითმეტიკული უნარ-ჩვევების განვითარება გრუშჩიკ-კოლჩინსკის მეთოდით ეხმარება ლოგიკური აზროვნებისა და არითმეტიკული უნარ-ჩვევების განვითარებას

ფსიქო-მოტორიკის სტიმულირება შორბორნის მეთოდით ეს მეთოდი მსოფლიოში აღიარებულია როგორც ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური ფსიქომოტორიკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვების თერაპიისათვის. ამ მეთოდის ამოცანაა:

1 - საკუთარი სხეულის აღქმა და მართვა

2- სივრცის აღქმა და მასთან ადაპტირება

3- სივრცის გაყოფა სხვებთან და შეხების საშუალებითმათთანახლოკონტაქტისდამყარებაშემოქმედებითი ფიზიკური თერაპია ლაბანის მეთოდით ესაა შემოქმედებითი ვარჯიშები, რომლის დროსაც ბავშვი პედაგოგის მიერ სიტყვიერად გადაცემულ ვარჯიშებს ასრულებს. ამ მეთოდს მოძრაობის იმპროვიზაციასაც უწოდებენ. აძლიერებს ფანტაზიასა და შემოქმედებითობის უნარს - ბავშვები აკეთებენ თავის მიერ მიერ მოგონილ მოძრაობებს.

ABA თერაპია
TEACCH მოდელის ელემენტები
>კინეზიოლოგია
>კნილის მეთოდი
>მაკატონის მეთოდი
• მუსიკათერაპია
• ოკუპაციური თერაპია
• მულტიმედიური განათლების პროგრამა
• მონტესორის მეთოდის ელემენტები
• დიდაქტიკური თამაშები
• ზღაპრის თერაპია
• მეთოდი „პროექტი„
• მეთოდი „ჩატვა 10 თითით„
• მეტყველების აღქმის სტიმულირების თერაპია
• ვარჯიშები ბობატის მეთოდით
• გამოყენებითი ქცევითი თერაპია
• დოგოთერაპია
ჰიპოთერაპია
• არტ-თერაპია
• საოჯახო მედიცინის ცენტრი - პედიატრის ადაპტრებული მომსახურება,
• 4 თვეში ერთხელ სტომატოლოგიური გასინჯვა-მომსახურება
• 6 თვეში ერთხელ ვიწრო სპეციალისტების გუნდის (ბავშვთა კარდიოლოგი, ნევროლოგი, ენდოკრინოლოგი, ოტო-რნო-ლარინგოლოგი) მიერ ამბულატორული გასინჯვა

ბენეფიციარების მშობლებთან შეხვედრა ჩატარდება 14 სექტემბერს 18 საათზე. („მზის სივრცე„ მიცკევიჩის 27 ბ)

საკონტაქტო ნომრები:
557763400 - ინგა ლოლაძე
557449581- თეა ჩანადირი
593550450 - ნინო ომანაძე

ინგა ლოლაძე


MEDFM 100.3

პირველი სამედიცინო რადიო
ტელ.: 2 42 10 03

უსმინეთ ყოველ ხუთშაბათს 17:00 სთ.-დან 18:00 სთ.-მდე
მაია ასაკაშვილის საავტორო გადაცემას
„ადამიანები განსხვავებული შესაძლებლობებით“


## ცხელი ხაზი შეზღუდული შესაძლებლობების საკითხებზე

„მაკლეინის ასოცოაცია ბავშვებისათვის“ არის არასამთავრობო, საქველმოქმედო ორგანიზაცია, სადაც ფუნქციონირებს ცხელი ხაზი.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ და მიიღონ ინფორმაცია, როგორც ჩვენს, ასევე იმ ორგანიზაციების სერვისების შესახებ, რომლებიც მუშაობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე.

სამუშაო საათები: ორშაბათი, პარასკევი, 10:00–18:00
ცხელი ხაზი: 0800900902
www.macgeorgia.org

# IMEDI +

MONTHLY INFORMATIVE-EDUCATIONAL JOURNAL FOR PERSONS WITH DISABILITIES
№ 8-9 (56-57) SEPTEMBER 2015


## MCLAIN FOUNDATION SCHOLARSHIP

GIORGI JANELIDZE



Giorgi Pirvelashvili is 34 years old. Fourteen years ago, in the age of 20, he received the spinal cord myelin layer injury, so-called spinal injury, after which, especially in the lower extremities, has a pronounced lack of movement. He moves in the room with the help of a special device, so-called “Walkers” and at time of movement on the street he uses a wheelchair. Giorgi lives in Zestafoni, together with her mother and brother. They live in the building, that’s why it is difficult for him to go out independently. For a year, he has been working at one of the microfinance organizations as a manager of the branch.

In 2010 he successfully passed exams of the faculty of management at one of American Online Universities. In several years he will receive an international manager Diploma. Tuition fee for studying at this university is fully covered by McLain Foundation for Children. Relationship between Giorgi and the Foundation began in 2007. “Since, the leadership of this foundation has provided me with a number of assistance. Initially they helped me to improve my English and assimilate computer programs. They presented me a lot of books and magazines in English, then they presented me my first personal computer, which in fact, determined the future of my education “. As Giorgi says, all of these are only a part of those assistances McLain Foundation had rendered to him and his family. Future plans of a distance student are focused on his professional development and career advancement. Giorgi Pirvelashvili plans to learn the principles of operating financial organizations but he is not going to stop studying.

## ACADEMIC SIGN LANGUAGE DEVELOPMENT

For the first time in Georgia, professional education for deaf persons is carried out by the help of a sign language interpreter. Today, experts have summed up works conducted for the development of a sign language. Here was the presentation of a website SignWiki. This website is designed for deaf people, their parents, teachers and sign language interpreters. The meeting, which was attended by teachers, Sign Language interpreters, deaf people and non-governmental organizations, was opened by the minister - Tamar Sanikidze.

Since 2013, the Ministry of Education and Science of Georgia supported by the Norwegian Ministry of Education and Research has been carrying out the project “Development of Inclusive Education in Vocational Education and Training



System." The initiative aims to increase the availability of vocational education for people with special needs/ disabled people and to carry out the learning process according to their individual abilities, interests and needs.

It is priority for the Ministry to ensure the quality of the learning process for individuals with special needs. Learning process for each student is supported according to their needs. Deaf persons, for whom vocational education is carried out with involvement of a sign language interpreter, are actively involved in vocational education institutions. Taking into consideration individual needs of deaf students there is organized a testing process and as a result, from 2013 up today, 53 deaf persons have received vocational education.

Since 2013, the Ministry of Education and Science of Georgia supported by the Norwegian Ministry of Education and Research, laid foundation the development of Sign Language for vocational education, because there are very limited gestures, which allow translating material comprehensively in a professional education delivery process. Since 2013 until today we have implemented:

- Identification of Georgian gestures concerning the teaching of professional education programs, registration and distribution among potential users in respect of 15 different professions.
- It should be noted that in the development of Georgian gesture bank, the Ministry of Education and Science of Georgia employed 75 deaf persons with active partnership of the Georgia Association of the Deaf.
- For signs collection, registration, reflection in database and distribution, by the support of the Norwegian side there has been created an electronic registration program for Georgian signs – analog of SignWiki - and Georgian side received the right of access to this website.

For 6 months, 2748 signs collected by deaf persons using a sign language and reflected on video tapes were uploaded on the website for fifteen professional programs. In parallel to working groups, for distribution of SignWiki among the potential users - were conducted informational meetings with various target groups.

Minister of Education and Science of Georgia is planning to load the website with a variety of educational resources for deaf persons. It will also start collection and uploading of necessary gestures required for school subjects in order to make information affordable for deaf pupils from early phase.

Website address: http://ge.signwiki.org/index.php/Category:Dictionary.

## SIGNED THE LAW ON AMERICANS WITH DISABILITIES




25 years ago, in the presence of 3,000 people, President Bush signed a law on the Americans with Disabilities (ADA). The law banned discrimination on the grounds of disability and destroyed metaphorical and physical barriers. As a result, there were made ramps on sidewalks, public buildings became adapted for wheelchair users and employment procedures were changed in order to protect rights of disabled people. More generally, the law allowed US citizens with disabilities to be completely involved in the community. Congratulations with the day of adopting the Act on Americans with Disabilities.

# POSITIVELY THE WORK OF HEALTH AND SOCIAL SERVICE DEPARTMENT OF TBILISI CITY HALL

Health and Social Service Department of Tbilisi City Hall submitted 6-month report to the Healthcare Commission of the City Council. The Commission assessed the work of the Health and Social Service Department positively.

Till day the City Department has administered 29 programs, from which 6 of them are health programs. 6 months results of current programs are as follows:

Within cancer prevention program, since the beginning of the last year 6 040-people has made Breast Cancer Screening, 5 052 - cervical screening, 2 275 - prostate cancer screening and 433 - colorectal cancer screening.

As of communicable and non-communicable diseases epidemiological control funding program, 12 717 cases were reported. The highest risk comes to rabies exposure - 6 014, then ranked chickenpox - 1 778, while the third - diarrhea - 1 343 randomly.




In July there was launched a rehabilitation program for children with autism spectrum disorders and currently 279 children are its beneficiaries.

Drug substitution therapy program involved 286 beneficiaries.

560 people conducted fast/simple test of Hepatitis C antibodies in May-June, which is fully funded by Tbilisi municipality.

Patients having Leukemia and other Hematological disease (30 years of age) requesting to be involved in bone marrow transplantation program 8 were funded among 12 applicants, and 4 patients' documents are under construction.

Within other measures of social assistance program, which provides funding medical services for helpless and needy citizens, the Commission discussed 11 322 applications within 6 months, out of which 89.3% was funded in whole or in part. Among them, 176 beneficiaries were funded for receiving treatment abroad. 8 million 790 thousand GEL was issued, out of which 1 million 960 thousand GEL was transferred to foreign clinics.

Within the program of resort services for persons with disabilities, in June 444 children and adolescents rested on a mountain resort and 175 in seaside resorts. The program continues and will end in September.

Within the program of utility subsidy program, in winter period (January-February-March) 28 million 310 thousand 405 GEL was transferred and more than 385 thousand families received public subsidy. In addition, 37 thousand 932 families received additional utility benefits in the form of additional monetary help.

In socially vulnerable families, under the program of single aid for all newborns, within 6 months, 264 families have received assistance.

Within the program for vulnerable large families to support every child under the age of 18, 3 367 families receive support for 11 660 children every month.

On the first stage of the aid program for vulnerable people with disabilities under the age of 18, the 806 beneficiaries received 400 GEL in May.

The program of integration of persons with disabilities and social security supporting program funded 16 projects. By the end of 2015, 5,000 beneficiaries will benefit from the program.

## DEFUNCT SPORTS FACILITIES

**TEIMURAZ MIKIASHVILI**



This gym named after Lenin in the past was known not only in our capital. This gym has done a lot of benefits for our country. There were brought up many famous sportsmen and. Now, it seems that sport, as a mean of physical development of the population, has been written off, this building was reconstructed into the market (Central Market). Where Youth ‘cheerful melody was heard, now traders are waiting for buyers. Near it there was a football field together with Athletics Manege, where the most famous players or athletes were brought up. Now this field is covered with a concrete layer and reconstructed into autodrome. We can not understand what has this sport facility done that it is such oppressed? There are few sport facilities in our capital and gyms existing in oldest and densely populated district should not be destructed.  Do not you know how to use it? We’ll tell you. Give it to the disabled sports movement of Georgia. It does not have a base for disabled sports development. This will be blessing not only for the development of Disabled Sports but generally for the whole Georgia.

+ 995 223 22 60; + 995 593 33 5887; + 995  593 91 6682
pr_imediplus@yahoo.com
info.imediplus@gmail.com
www.imediplius.ge

Chief editor- Teimuraz Miqiashvili
Deputy editor- Maia Asakashvili
Journal “IMEDI+” is published with support of
“ Mclain  Association for Children”
Address- Tbilisi,0179. Z.Paliashvili Ave.№47ᴬ.12

# Имеди+

Ежемесячный журнал для лиц с ограниченными возможностями

№ 8-9 (56-57) СЕНТЯБРЬ 2015


## СТИПЕНДИАНТ ФОНДА МАКЛЕЙН

**ДЖАНЕЛИДЗЕ ГЕОРГИЙ**



Пирвелашвили Георгию 34 года. Он, четырнадцать лет назад, в возрасте 20 лет, получил так называемую спинальную травму, повреждение оболочка миелина спинного мозга, после чего, особенно в нижних конечностях, имеет ярко выраженное ограничение в движении. Он может передвигаться в комнатных условиях с помощью специального устройства, т.н. «ходунки». А когда выходит на улицу, пользуется креслом. Георгий живет в Зестафони, вместе с матерью и братом, в корпусе, из-за чего ему трубно выйти на улицу самостоятельно. Уже год, как работает на позицию ассистента менеджера филиала одного из микрофинансовых организаций.

В 2010 году, Георгий с успехом сдал вступительные экзамены на факультет международного менеджмента в одном из онлайн университетов Америки. Через несколько месяцев он получит диплом менеджера. Обучение Георгия в указанном университете полностью финансирует фонд «Ассоциация Маклейна для детей». Отношения между фондом и Георгием начались в 2007 году: «после этого, фонд не раз оказывал мне помощь; сначала помогали в совершенствовании английского языка и освоении компьютера – дарили множество англоязычных книг и журналов. Потом подарили мой первый персональный компьютер, что, фактически, решило судьбу моего дальнейшего образования». Как говорит Георгий, все это только часть той помощи, которую оказал фонд Маклейна его семье. Планы «дистанционного» студента на будущее сконцентрированы на профессиональное развитие и карьерный рост, пишет он. Пирвелашвили Георгий планирует основательно изучить принципы работы с финансовыми организациями, однако, прекратить учебу он не собирается.

## РАЗВИТИЕ АКАДЕМИЧЕСКОГО ЯЗЫКА ЖЕСТОВ

Впервые в Грузии, при помощи переводчика языка жестов, профессиональное образование глухих ведется на языке жестов. Сегодня, работы, осуществленные для развития академического языка жеста, в Министерстве образования и науки Грузии, подытожили специалисты, здесь же состоялась презентация вебстраницы SignWiki. Вебстраница предназначена для глухих, их родителей, педагогов языка жестов и переводчиков. Встречу, на которую присутствовали педагоги, переводчики языка жестов, глухие и представители неправительственных организаций, открыла министр Саникидзе Тамар.

С 2013 года Министерство образования и культуры Грузии, при поддержке Министерства образования и исследований Норвегии, осуществляет проект «Внедрение инклюзивного образования в системе профессионального образования и переподготовки Грузии». Цель указанной инициативы повышение



доступности профессионального образования для лиц, нуждающихся в специальном образовании/с ограниченными возможностями и ведение учебного процесса в соответствии с их индивидуальными возможностями, интересами и нуждами.

Для министерства приоритетно обеспечение качества учебного процесса лиц, нуждающихся в специальном образовании. Содействие каждому студенту в учебном процессе происходит в соответствии с его нуждами. В профессиональных образовательных учреждениях активно включены глухие, для которых профессиональное образование идет с помощью переводчиков языка жестов. Для глухих студентов, с учетом индивидуальных нужд, организован процесс профессионального тестирования а в результате, с 2013 года до сегодняшнего дня, 53 глухих получили профессиональное образование.

С 2013 года министерство образования и науки Грузии, при поддержке министерства образования и исследований Норвегии, заложили основу развитию академического языка жестов по направлению профессионального образования, так как очень мало жестов, которые дают возможность полноценно перевести материал в процессе подачи профессионального образования. С 2013 года до сегодняшнего дня было осуществлено:

• Идентификация, регистрация и распространение среди потенциальных потребителей грузинских жестов, связанных с обучением профессиональных образовательных программ, по отношению к 15 разным профессиям.

• Нужно отметить, что в процессе разработки банка грузинских жестов, министерство образования и науки Грузии дало работу 75 глухим при активном сотрудничестве союза глухих Грузии.

• Для собрания, регистрирования, отражения в базе и распространения жестов, при поддержке норвежской стороны, создана электронная программа регистрации грузинских жестов, аналог SignWiki и грузинской стороне передано право доступа к указанной вебстранице.

В течение 6 месяцев на вебстранице было размещено собранных глухими, пользующими языком жестов и отраженных на видео ленте 2748 жестов, для определенных пятнадцати профессиональных программ. Параллельно рабочих групп, с целью распространения SignWiki, проходили информационные встречи с разными группами.

Министерство образования и науки Грузии планирует нагрузку созданной вебстраницы разными образовательными ресурсами для глухих. Начнется также добыча и загрузка жестов, нужных для школьных предметов, чтобы уже с ранней фазы обучения информация для глухих учеников была доступной надлежащим образом.

Адрес вебстраницы: http://ge.signwiki.org/index.php/Category:Dictionary

## ПРЕЗИДЕНТ БУШ ПОДПИСАЛ ЗАКОН ОБ АМЕРИКАНЦЕВ С ОГРАНИЧЕННЫМИ ВОЗМОЖНОСТЯМИ



25 лет назад, в присутствии 3,000 человек, президент Буш подписал закон об американцев с ограниченными возможностями (ADA). Закон запретил дискриминацию на почве ограниченных возможностей и разрушил метафорические и физические барьеры. В результате, на тротуарах были сделаны пандусы, публичный здания стали адаптированными для лиц, пользующих коляской и изменились процедуры занятости, чтобы права лиц с ограниченными возможностями были защищены. Закон дал возможность гражданам США быть полноценно включенными в обществе. Поздравляем с днем принятия закона об американцев с ограниченными возможностями.

Городской совет (Сакребуло) положительно оценил работу городской

# СЛУЖБЫ СОЦИАЛЬНЫХ УСЛУГ И ЗДРАВООХРАНЕНИЯ МЭРИИ

Городская служба социальных услуг и здравоохранения тбилисской мэрии предъявил комиссии здравоохранения городского совета (Сакребуло) отчет за 6 месяцев. Комиссия положительно оценила работу городской службы социальных услуг и здравоохранения.

На сегодняшний день, городская служба осуществляет администрирование 29 программ, из которых 6 являются программами по направлению здравоохранения. 6 месячные итоги текущих программ выглядят следующим образом:

В рамках программы онкопревенции, с начала года, провели скрининг рака груди 6 040 человек, скрининг шейки матки – 5 052, скрининг рака простаты – 2 275 и скрининг колоректального рака – 433 человек.

Со стороны финансирования эпидемиологического контроля заразных и незаразных заболеваний, зафиксировано 12 717 случаев. Самый большой показатель из них приходит на экспозицию риска бешенства – 6 014, на следующем месте ветряная оспа – 1 778, а на третьем месте – диарея – с 1 343 случаем.

В июле задействована программа реабилитации детей с нарушением спектра аутизма и на сегодняшний день




ею пользуется 279 детей. В программе заместительной терапии наркомании включено 286 бенефициаров.

С целью определения антител против вируса гепатита С быстрое/легкое тестирование, которое полностью финансируется со стороны муниципалитета Тбилиси, в мае-июне прошли 560 человек.

В рамках программы трансплантации костного мозга среди пациентов с лейкемией и другими онкогематологическими заболеваниями (до 30 летнего возраста), из 12 поступивших заявлений с просьбой о финансировании, 8 были удовлетворены, а документы 4 пациентов находятся в процессе подготовки.

В рамках программы мероприятий другой социальной помощи, которая предусматривает финансирование медицинских и других сервисов для граждан, зарегистрированных в муниципалитете Тбилиси, которые находятся в беспомощном и трудном состоянии, комиссия, за 6 месяцев, рассмотрело 11 322 заявок, из которых, полностью или частично, финансирование получили 89,3%. В том числе, была выделена сумма для лечения 176 бенефициаров за рубежом. Выдано 8 млн. 790 тыс. лари, из которых 1 млн. 960 лари перечислено в заграничных клиниках.

В рамках программы курортного обслуживания лиц с ограниченными возможностями, в июне, 444 ребенка и подростка отдохнули в горных курортах, а на морских курортах – 175. Программа продолжается и будет завершена в сентябре.

В рамках программы коммунального субсидирования, в зимний период (январь-февраль-март) перечислено 28 млн. 310 тыс. 405 лари и больше 385 семей получили коммунальные субсидии. Кроме того, на 37 тыс. 932 семей выдана дополнительная денежная помощь в рамках дополнительных коммунальных льгот.

По программе одноразовой помощи на каждого новорожденного в социально незащищенных семьях помощь получили 264 семей.

В рамках программы ежемесячной программы на каждого ребенка до 18 лет для социально незащищенных многодетных семей, 3 367 семей на 11 660 ребенка получают помощь.

На первом этапе программы помощи социально незащищенным лицам с ограниченными возможностями до 18 лет, в мае 806 бенефициаров получили 400 лари.

В рамках программы интеграции лиц с ограниченными возможностями в обществе и их социальной защиты, были финансированы 16 проектов. До конца 2015 года программой будут пользоваться до 5000 бенефициаров.

## УПРАЗДНЕННОЕ СПОРТИВНОЕ СТРОЕНИЕ

**МИКИАШВИЛИ ТЕИМУРАЗ**



Этот спортивный зал, названный в свое время именем «Ленина», был известен не только в нашей столице. Этот спортивный зал сделал много добрых дел для нашей страны. Здесь выросло много именитых спортсменов, которые прославили нашу страну. Сейчас, как видно, спорт, как средство физического развития населения, списан, и это строение переделан в рынок (причем, в центральный рынок). Там, где раздавались шум и гам молодежи, сейчас расположены торговые прилавки и терпеливо ждут покупателя. Радом было футбольное поле с манежем для легкой атлетики, где воспитались множество именитых футболистов и легкоатлетов. В настоящее время, это поле забетонировано толстым слоем цемента и передал в автодром. Мы не понимаем, в чем провинились эти спортивные строения и вообще, спорт, что так издеваются над ними? Наша столица и так бедна спортивными строениями, разве можно упразднять и опустошать существующее? И то в старинном, плотнонаселенном квартале. Не знаете как осползовать? Мы вам подскажем. Не жалейте и отдайте этот спортивный зал спортивному движению инвалидов Грузии. У него нет никакой спортивной базы для развития инвалидного спорта. Это принесет большое добро не только развитию инвалидного спорта, а в общем, Грузии.


+ 995 223 22 60; + 995 593 33 5887; + 995  593 91 6682
pr_imediplus@yahoo.com
info.imediplus@gmail.com
www.imediplius.ge

Chief editor- Teimuraz Miqiashvili
Deputy editor- Maia Asakashvili
Journal “IMEDI+” is published with support of
“ Mclain  Association for Children”
Address- Tbilisi,0179. Z.Paliashvili Ave.№47ᴬ.12



იოსებ ნონეშვილი

# მასწავლებელი

მასნავლებელი - მშობლის ალერსით
ამოქარგული ტკბილი ანბანი,
მასნავლებელი - ნორჩის თვალებში
ჩაშუქებული ცოდნის ლამპარი.

მასნავლებელი - ჩვენს სიყვარულში
განათებული, როგორც ოცნება,
მასნავლებელი - სინდის-ნამუსი,
მხოლოდ ხალასი პატიოსნება.

მასნავლებელი - დედის გულივით
მუდამ კეთილი, მუდამ ნეტარი.
მასნავლებელი - ბავშვის სურვილი:
მასნავლებელი გავხდე ნეტავი.

მასნავლებელი - გულისხმიერი,
ეთვლიდით აღმზრდელად, ეთვლიდით
მეგობრად.
მასნავლებელი - მასზე ძლიერი,
მასზე სნავლული არვინ გვეგონა.

მასნავლებელი - ამ ქვეყანაზე
სიტყვით ქებული, საქმით ქებული.
მასნავლებელი - დედაენაზე,
მშობელ ენაზე შეყვარებული.

მასნავლებელი - სიტყვა ფრთიანი,
მუდამ მამულზე ფიქრით გართული,
მასნავლებელი - მართლაც ტრფიალი,
რაც კი კარგია, რაც კი ქართული.

მასნავლებელი - ღამე უძილო,
ნორჩებზე ფიქრი დაუშრობელი.
მასნავლებელი - ზოგჯერ უშვილო,
მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი.

მასნავლებელი - რამ დაგვავიწყოს,
ჩვენთვის ზრუნავდა, ჩვენთვის შრომობდა.
ქვეყნად არც ერთი ბრძენი არ იყო,
მასნავლებელი არა ჰყოლოდა.

ბევრი სარდალი, ითქვას მართალი,
იბრძოდა მტკიცედ და გულგოროზად,
მაგრამ სად იყო ქვეყნად სარდალი,
მასნავლებელი არა ჰყოლოდა.

ზოგმა სიცოცხლის შუქი მოგვფინა,
კეთილი ველარ სძლია ბოროტმა,
ქვეყნად ბელადიც არა ყოფილა,
მასნავლებელი არა ჰყოლოდა.

მასნავლებელი - გულს ჩახატული,
დიდი ფიქრები, დიდი სურვილი.
მასნავლებელი - მზე, გაზაფხული,
მთები, ყანები, ოქროცურვილი.

მასნავლებელი - ცოდნის ნათელით
უსნავლელობის დამმარცხებელი...
აი, რას ნიშნავს მასნავლებელი,
აი, რად გვიყვარს მასნავლებელი.

მასნავლებელი - ღამე უძილო,
ნორჩებზე ფიქრი დაუშრობელი.
მასნავლებელი - ზოგჯერ უშვილო,
მაგრამ ათასი ბავშვის მშობელი.

www.imedipliusi.ge



9 771987 716000

## ცხელი ხაზი შეზღუდული შესაძლებლობების საკითხებზე

„მაკლეინის ასოციაციაში ბავშვებისათვის" ფუნქციონირებს ცხელი ხაზი. დაინტერესებულ პირე
შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ და მიიღონ ინფორმაცია, როგორც ჩვენს, ასევე იმ ორგანიზაციების სე
ვისების შესახებ, რომლებიც მუშაობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე.

სამუშაო საათები: ორშაბათი, პარასკევი, $10^{00}$–$18^{00}$

ცხელი ხაზი: 558 055 588; 599 588 226

www.macgeorgia.org